645
1958/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 7 ივლისი 1958



გამოთხოვების საღამოდან წამოგყოლიათ ფიქრები, სიხარული და პატარა სევდაც. მასწავლებლის უკანასკნელი დარიგება, მეგობრებთან უკანასკნელი ანცობა და ბავშვობაც გაიპარა, წავიდა...

გაჰყურებთ ქალაქს, თქვენს თბილისს, სადაც გიოცნებიათ, მიზნები გაგჩენიათ, გაჰყურებთ და თითქოს ახდენილ ოცნებას ხედავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანტონინ ნოვოტნი.



ამხანაგები ა. ნოვოტნი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. დ. ჩუბინიძე აეროდრომზე.

# ძვირფასი სტუმრები ჩეხოსლოვაკიიდან

თბილისს საპატიო სტუმრები ეწვივნენ, მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წარმომადგენლები, რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით.

სიყვარულს, დიდ ძალას მეგობრობისა მოჰყავს შორეული ქვეყნის შვილები ჩვენს სამშობლოში.

მშვიდობის,

სილამაზის,

სიცოცხლის დაცვა, აზრთა, მიზანთა ერთიანობა მოასწრაფებს მათ. მოდიან კეთილი სურვილებით! კეთილი სურვილები, დიდი და გაშლილი გული ხვდებათ აქ!..

ჩეხოსლოვაკიის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ჩამოსვლა ხალხთა სიმტკიცისა და ძლიერების კიდევ ერთი დასტურია. მხურვალედ შეეგებნენ საქართველოს მშრომელები სასურველ სტუმრებს. «ვფიქრობ, გამოვხატავ ყველა აქ დამსწრის და ყველა იმათ გრძნობებსა და ფიქრებს, ვინც ჩვენ გვისმენს, თუ ვიტყვი, რომ მთელი ქართველი ხალხი ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს ეგებება როგორც ღვიძლ ძმებს, როგორც ყველაზე მახლობელ და ძვირფას მეგობრებს,»—სთქვა 7 ივნისს თბილისის «დინამოს» სტადიონზე გამართულ მიტინგზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ და ამით ქართველი ხალხის გულისნადები გამოხატა, რომელსაც გულწრფელად ახარებს ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წინსვლა, მისი ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა, მისი გამარჯვებანი. ძმური სიყვარული და ღრმა პატივისცემა უდევს საფუძვლად ქართველი ხალხის მიერ ჩეხოსლოვაკიელი სტუმრების გულღია მიღებასა და ზეიმს.

ურთიერთგაგება, ურთიერთსიყვარული აკავშირებს ამ ორ ხალხს: «ჩვენი ხალხი იცნობს საქართველოს, როგორც ძველი, მდიდარი და განვითარებული კულტურის აკვანს, როგორც მშვენიერი ბუნებისა და დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრის ქვეყანას...

ჩვენ ვიცნობთ თქვენს გმირ ხალხს, როგორც ხალხს, რომელიც აღფრთოვანებითა და სიყვარულით აშენებს თავის ქვეყანას და მიდის კომუნიზმისაკენ საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში. ჩვენ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდად გვიხარია, რომ შეგვიძლია ვიყოთ თქვენს შორის და ვნახოთ თქვენი მშვენიერი რესპუბლიკა.» რამდენი სითბო, რაოდენი მეგობრული გრძნობაა ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის ამ სიტყვებში.

სოციალიზმის ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, ჩვენი სინამდვილეა ხალხთა ასეთი მეგობრობის სამჭედლო. «დიდი, მძლავრი საბჭოთა კავშირი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მიდის კომუნიზმის გზით, ჩვენი დასაყრდენი და ბურჯია.»—სთქვა ამხანაგ ანტონინ ნოვოტნიმ და ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმაც სწორედ ამიტომ განაცხადა: «საბჭოთა კავშირთან—სამარადისოდ!» და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხიც იმეორებს: «საბჭოთა კავშირთან—სამარადისოდ!»

# ახალი ეტაპი ქალთა დემოკრატიულ მოძრაობაში

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელი ჩაიწერა მშვიდობისათვის მსოფლიოს ხალხთა მოძრაობის ისტორიაში. ამასწინათ, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მუშაობა დაამთავრა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მეოთხე კონგრესმა.

დიდი ინტერესით ემზადებოდნენ კონგრესისათვის ქალები დედამიწის ხუთივე მატერიკიდან და ეს გასაგებიცაა. კონგრესის დღის წესრიგში ფრიად სერიოზული საკითხები იდგა. გარდა ამისა, აქ ელოდათ მათ გულითადი შეხვედრები, გაცნობა-დამეგობრება.

მხურვალე მხარდაჭერა და გამოხმაურება ჰპოვა კონგრესის მოწვევამ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში. მუშა თუ მეცნიერი, გლეხი თუ მსახიობი, სახელმწიფო მოღვაწე თუ დიასახლისი—ყველა ემზადებოდა ამ დღისათვის. იმართებოდა კრებები, მიტინგები, საბჭოთა ქალების კომიტეტში ყოველდღე მიდიოდა კონგრესის დელეგატებისათვის დამზადებული საჩუქრები.

საქართველოს ქალებმა კონგრესზე გაგზავნეს ხუთფეროვანი დროშა „მშვიდობა“, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს 5 კონტინენტის სიმბოლოს. დროშის მეორე მხარეზე ამოქარგული იყო წარწერა — „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესს საქართველოს ქალებისაგან“.

საბჭოთა ქალების წარმომადგენლებმა კონგრესზე მიიტანეს არა მარტო გულითადი საჩუქრები, კეთილი სურვილები და მხურვალე სალამი, არამედ უფრო დიდი რამ — თავისუფალი საბჭოთა ქალის ცხოვრებისა და ბრძოლის მაგალითები, გამოცდილება, რომელიც აღაფრთოვანებს მსოფლიოს ქალებს და გზას უნათებს მათ პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კონგრესმა, რომლის მუშაობა 5 დღეს გრძელდებოდა (1-5 ივნისი) მოისმინა ქალთა დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარის ეჟენი კოტონის ძირითადი მოხსენება: „ქალის როლი და პასუხისმგებლობა თანამედროვე მსოფლიოში და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ამოცანები“. ცალკეული საკითხების განსახილველად აგრეთვე მუშაობდა სამი კონფერენცია.

ამ კონფერენციებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. სიცოცხლის დასაცავად; 2. პირობები, რომელიც საშუალებას აძლევენ ქალს შეასრულოს საზოგადოებაში დედის, მშრომელისა და მოქალაქის როლი; 3. ბავშვთა და ახალგაზრდობის განათლების უფლება და მათი აღზრდა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.

ეჟენი კოტონმა თავის მოხსენებაში ნათლად ასახა ის ნაყოფიერი მუშაობა, რასაც ამ უკანასკნელ წლებში აწარმოებს ქალთა დემოკრატიული ფედერაცია, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ გაიზარდა ქალთა აქტივობა საერთოდ, და კერძოდ, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, სადაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა და ქალებს მიენიჭათ ერთგვარი უფლებები.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 60 ქვეყნის 500-ზე მეტმა დელეგატმა და საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალმა წარმომადგენელმა, სხვადასხვა ეროვნებისა და კანის ფერის, სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებისა და სარწმუნოების ადამიანებმა, რომელთაც აერთიანებთ ყველაზე ძვირფასი და ძლიერი — დედაშვილობის გრძნობა და ძალა. ამიტომ იყო, რომ კონგრესის მონაწილეებს კარგად ესმოდათ ერთმანეთის, ყველაფერს თვალნათლივ ხედავდნენ და განიცდიდნენ.

ხედავდნენ, როგორ მიიკვლევენ თავისი სამშობლოს სამხედრო გზებს ალჟირელი ქალები, კალათებით რომ მიაქვთ ქმრებთან და მეგობრებთან ტყვიები და მედიკამენტები, ყოველ ას ნაბიჯზე მტრის პატრულები რომ ელობებათ, ყოველი ასი ნაბიჯი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა რომ არის მათთვის. მაგრამ მიდიან მაინც. გზებს ისინი არ მოჰყავს ვენისაკენ, მაგრამ აქ, ვენაში სხვადასხვა ენაზე ადიდებენ მათ გმირობას.

ლაპარაკობდნენ ტრიბუნიდან კონგრესის დელეგატები და დამსწრეთ ეგონათ, რომ აქ, სოფლის დარბაზში შემოდის ძაძებით მოსილი კუბელ ქალთა მწკრივი. ეს ტანსაცმელი მათ შეიკერეს არა მარტო დახვრეტილი და ციხეებში მოსპობილი მახლობლებისა ან გაწამებული სამშობლოს გლოვის ნიშნად, ამ ძაძებს კუბელი ქალები ატარებენ, როგორც საპროტესტო დროშას დიქტატორის გამყიდველი პოლიტიკის წინააღმდეგ.

აი, შორეული კამერუნი, ახალგაჭრილ საფლავთან ჩამომჯდარი დედა. მიწას ჩაუკრავს მისი ორი მცირეწლოვანი გოგონა, რომლებიც კოლონიზატორებმა შეურაცხყვეს და იქვე მოჰკლეს. ქალი წამოდგომას ველარ ახერხებს, მწუხარებას მიუკრავს იგი მიწაზე. ხედავენ კონგრესის დელეგატები მას და მასავით ტანჯულთა და დამცირებულთა ათასებს შავი აფრიკიდან თუ მსოფლიოს სხვა ადგილებიდან.

ისინი არ არიან ახლა აქ, ვენაში, მაგრამ მათი სახელით კონგრესს ესაუბრებიან დელეგატები, უამბობენ ვენაში წამოსულებს დარჩენილებმა რომ დააბარეს — საქვეყნოდ ეთქვათ მათი სათქმელი, მათი სურვილი; რომ ჩაგრული ქვეყნების ქალები მოითხოვენ თანასწორუფლებიანობას, მშვიდობას, შვილების ბედნიერებას და სიცოცხლეს. ეს იყო კონგრესის მუშაობის დევიზი, ამაზე ოცნებობენ, ამისათვის იბრძვიან ისინი, ვინც სიცოცხლეს აძლევს კაცობრიობას — ქალები.

ახლა, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების ეპოქაში, როცა გვეგონა, რომ მეცნიერების მიღწევები ცხადყოფდა ყველა სახის შეიარაღების უსარგებლობას, — აღნიშნა ეჟენი კოტონმა, — პირიქით მოხდა: უფრო დაიძაბა საერთაშორისო ვითარება, იარაღის ჟღარუნი გრძელდება და საფრთხეში აყენებს სიცოცხლეს, ხალხის დოვლათს, ოჯახის ბედნიერებას, ახალგაზრდობის მომავალს.

— მთელი მსოფლიოს მეცნიერები მღელვარებით აღნიშნავენ რადიაქტიობის ზრდას ატმოსფეროში, წვიმის წყალში, კვების პროდუქტებში, რძეში, რომელსაც ჩვენი ბავშვები სვამენ. ისინი შეშფოთებით აფრთხილებენ დედებს და დედებმა უნდა ისმინონ ეს, — ნათქვამია კონგრესის რეზოლუციაში.

— ქალებს, დედებს არ შეუძლიათ შეურიგდნენ ომებით გამოწვეულ საშინელებებს, მათ სურთ იხილონ მშვენიერებათა და ბედნიერებით სავსე ცხოვრება. ამ კეთილშობილური მისწრაფების დაუყოვნებლივ განხორციელება შეუძლია ატომური ენერგიის ხალხის სამსახურში ჩაყენებას, მას შეუძლია უკან დაახევინოს სიკვდილს, განკურნოს ჯერ განუკურნებელი სენი, გაანოყიეროს მწირი მიწები და დოვლათით აღავსოს ადამიანები, შექმნას საყოველთაო ბედნიერება.

მილიარდები, რომელიც დღეს შეიარაღებას ხმარდება, განიარაღების დროს მოხმარდება ხალხის კეთილდღეობას — ახალი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, ბაგებისა და ბაღების მშენებლობას, რომელიც ასე აკლია მთელ რიგ ქვეყნებს.

ამჟამად ყველა ქვეყნის მშრომელები ერთი სურვილით არიან აღსავსენი, იცხოვრონ მშვიდობიანად, მეგობრულად, განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობა. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში გაერთიანებული 80 ქვეყნის 200 მილიონზე მეტი ქალის მტკიცე ერთიანობა ამ მისწრაფების ბრწყინვალე დადასტურებაა. ახეთი ერთიანობით მსოფლიოს ქალებს უდიდესი წვლილი შეაქვთ მშვიდობის დაცვის საქმეში.

არ არსებობს ისეთი სადაო საკითხი, რომლის მოწესრიგება არ შეიძლებოდეს მოლაპარაკების გზით. გაერთიანებული ერების წესდების მტკიცედ დაცვა შესაძლებელს გახდიდა სურვილისამებრ წარემართა ხალხს თავისი ბედი.

კონგრესმა თავის რეზოლუციაში სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა მთელი ყურადღება და მოუწოდა ქალთა ორგანიზაციებს, მსოფლიოს ყველა მოწინავე ქალს, დედებს: შეერთებული ძალით უფრო მტკიცედ მოითხოვონ თავიანთი მთავრობებისაგან ატომური იარაღების გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

მოითხოვონ ადამიანთა და ერების უფლებების დაცვის შესახებ გაერთიანებული ერების წესდების ზუსტად გატარება.

მოითხოვონ ომის შეწყვეტა ალჟირში და საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება ალჟირელი ხალხის ინტერესების და ნებასურვილის შესაბამისად.

ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კორეის, ვიეტნამისა და გერმანიის გაერთიანების საქმეს.

მხარი დაუჭირონ ყველა ღონისძიებას და კონგრესს, რომელიც კი მიმართული იქნება მშვიდობის დაცვისაკენ.

ყოველგვარი მხარდაჭერა და დახმარება აღმოუჩინონ ქალებს, რომლებიც იბრძვიან თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და ფაშიზმის წარმოშობის საშიშროების წინააღმდეგ, ქალებს, რომლებიც რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

განახორციელონ ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც დაეხმარება ქალებს შეიგნონ თავიანთი პასუხისმგებლობა, როლი და ძალა.

კონგრესმა მოუწოდა ქალებს მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ ღონისძიების გატარებაში, რომლებიც მიმართული იქნება ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისაკენ.

მშვიდობისმოყვარე ხალხთა მტკიცე ერთიანობა გამარჯვების საწინდარია.



კონგრესმა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ ერთხმად აირჩია ე ჟ ე ნ ი კ ო ტ ო ნ ი. თქვენ ხედავთ, როგორ გულთბილად მიესალმებიან მას ვიეტნამელი დელეგატები ფან ტხი ანი და ბხი ტხი კანი.



ფოტოზე: ავსტრიელ ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი მარია ზუბიკი (მარჯვნივ) და ბულგარელი დელეგატი, ინჟინერ-გეოლოგი, სახალხო საბჭოს დეპუტატი ნადია დიმიტრიევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელენე გოკიელი შვილთან.

ვზივარ ოთახში და ვფიქრობ: ამ ბინაში ექიმი რომ ცხოვრობდეს, ალბათ ინსტრუმენტებს ვნახავდი, აგრონომი რომ იყოს—მის მიერ გამოყვანილ ჯიშებს, პურის თავთავებს და ვინ იცის კიდევ რას. არც გეოლოგი იქნება ამ ოჯახის რომელიმე წევრი, თორემ... და ფიქრი მიწყდება. მაგიდაზე გაშლილი ნახაზებია, სახაზავები, ფარგალი, კუთხეში კი — სავარჯიშო იარაღები. მაშ, აქ სპორტსმენიც ცხოვრობს და ინჟინერიც. სპორტსმენი შეიძლება, მე ხომ ლენა გოკიელის სტუმარი ვარ. ინჟინერი კი...

კარი იღება და თვით ლენა შემოდის. ბოდიშს იხდის დაგვიანებისათვის, ღიმილით მიახლოვდება.

მე მინახავს ლენას ფოტოსურათი გაზეთში, ადრე, ბავშვობისას. მე მინახავს იგი ქუჩაშიც. მაგრამ მას შემდეგ ხომ დრო გავიდა, ლენა კი ისეთივეა. და ვრწმუნდები — სპორტსმენები როდი ბერდებიან.

— ეს ჩემი შვილისაა, — მითითებს ნახაზებზე, — იცით, რამხელა ვაჟი მყავს? ჩემზე მაღალი, მესამე კურსზეა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იარაღებიც მისია. ვერ იქნა და ოთახიდან ვერ გავატანინე. დილას წამოხტება და უკვე მათთანაა.

მგონია საყვედურობს, მაგრამ დედა იცინის და ამ წუთში იგი ბედნიერია.

... როცა ნიშანს მისცემდნენ, ქარივით მოწყდებოდა. გარბოდა და ძალა ემატებოდა, განა მარტო ხალხის შეძახილებით? იქ, ტრიბუნაზე ბავშვი ეგულებოდა, ფერმკრთალი სახით, ღიაფერის თვალებით. ეს მისი შვილი იყო და დედა ფინიშთან პირველი მიდიოდა.

ნორვეგია, ბელგია, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია... იქ კვლავ სტარტზე იდგა დედა. შვილი რუკასთან ქალაქებს დასცქეროდა, კვლავ ფერმკრთალი სახით, დედა კი იმარჯვებდა.

დღეს ასე აღარაა. დღეს სტარტზეა პირველთანრიგოსანი მძლეოსანი, საკავშირო ნაკრები გუნდის წევრი გურამ გვინჩიძე. და ახლა დედა უფრო მეტად ღელავს, ვიდრე თავისი შეჯიბრებების დროს.

— თურმე, ასე ყოფილა! — იცინის იგი და კვლავ იხსენებს: შეჯიბრებებზე გამოსვლის წინა დღეებში მასთან ერთად ბავშვიც ნერვიულობდა. მკაცრი მსაჯივით სავარძელში მოიკალათებდა და უცქეროდა. როცა დედა დაიღლებოდა და იარაღებს თავს ანებებდა, ახლა მეო, იძახდა შვილი და მის შეცვლას ლამობდა.

ამასწინათ, ამიერკავკასიის პირველობაზე შეჯიბრში გურამმა პირველი ადგილი დაიკავა და დედა დარწმუნდა — ახლა კი მართლა შემცვალაო.

ამ ოჯახში ორი სპორტსმენი ცხოვრობს და ორიც ინჟინერი.

ლენა ხომ რამდენიმეხანს ინჟინრად მუშაობდა და მხოლოდ შემდეგ დასძლია მასში სპორტმა სპეციალისტს.

გურამის მაგიდაზე ნახაზებია გაშლილი. ისიც ინჟინერია, თუმც მომავალი.

ალბათ მისი სახელი ესმის, კარს აღებს და ოთახში შემოდის.

— გაიცანით, მაგრამ უკვე კარგად იცნობთ, იმდენი გელაპარაკეთ,— ამბობს დედა.

და გურამი იღუშება, ეტყობა არ უყვარს, როცა მასზე ლაპარაკობენ. არც მშობლის მიღწევებზე საუბრის მოსმენა სურს და ამიტომაც გვტოვებს სპორტსმენი დედის ყველაზე დიდი გულშემატკივარი.

* * *

მხარზე ორი ნაწნავი ეგდო, წვრილად დაწნული. იჯდა მაგიდასთან და თავი ქაღალდებში ჩაეყო. თუ რამეს ეტყოდნენ, წამოხტებოდა და ისე ისმენდა. დაავალებდნენ? გაიქცეოდა და პასუხი მოჰქონდა. მხარზე ორი ნაწნავი ეგდო, თხუთმეტი წლისა იყო.

ერთხელ მასთან ყმაწვილი მივიდა. შორიდან იცნობდა, მაგრამ ახლოს არ გამოლაპარაკებია. ცნობა გამოართვა და გამობრუნებისას სხვათაშორის უთხრა:

— დღეს ფრენბურთის თამაშია, ხომ არ მოხვალთ?

შემდეგ თამაშიც დაიწყო. კვლავ ნაწნავები ეყარა, მაგრამ მაისურა მის ქალობას ვეღარ მალავდა.

ისიც მასთან იყო, ყმაწვილი. ასწავლიდა, ზოგჯერ უყვიროდა კიდეც. მოსწონდა მისი მოქნილობა და არ ეშვებოდა. ახლა როდი უცხოობდნენ — დამეგობრდნენ. ახლა ერთი ჰქონდათ მღელვარება — ფრენბურთში შეჯიბრება ახლოვდებოდა.

და როცა სახეაწითლებულს მეგობრები პირველობას ულოცავდნენ, ის ყველაზე შორს იდგა და ხმას ვერ იღებდა, ალბათ სიხარულით.

მაშინ ფაკულტეტის მდივანი იყო ლენა გოკიელი, ყმაწვილი კი — სტუდენტი აპოლონ ოჩიგავა.

— ივანე პეტრეს-ძე ჩამოვიდა, იცი? — მიახარა ერთხელ აპოლონმა და შეჩერდა. რა იცოდა, ლენამ, ვინ იყო ივანე პეტრეს-ძე!

— სპორტის დამსახურებული ოსტატი, საუკეთესო მწვრთნელი და მხოლოდ რამდენიმე თვით. იცი, რას ნიშნავს მასთან მოხვედრა?

# თითქოს

მაინც მოხვდა. ყოველდღე დაძაბული, სულმოუთქმელი ვარჯიში, ბირთვის კვრა, სიმაღლეზე ხტომა, სიგრძეზე...

და როცა ამიერკავკასიის პირველობაზე 200 მეტრზე რბენაში ლენამ რეკორდი დაამყარა, ივანე პეტრეს-ძე სერგეევს დაენანა მისი დატოვება — მხოლოდ ექვსი თვე წვრთნა და ასეთი შედეგი? მხოლოდ ექვსი თვე. სერგეევი მაინც წავიდა თბილისიდან.

მაგრამ გაგრძელდა წარმატება. მომავალ, 1936 წელს სერგეევმა მოსკოვში ნახა თავისი მოწაფე, რომელმაც საკავშირო რეკორდი დაამყარა სამმაგ ხტომაში. ნახა და ახალი გამარჯვება მიულოცა.

ლენა შეიცვალა. მას ვეღარ ცნობდნენ შინაურები. თუ სახლში იყო, ეძინა ან ჭამდა, თუ გარეთ და — იარაღებთან. და-ძმაც აჰყვნენ, მასავით გაიკრიფნენ სახლიდან. უფროსმა ძმამ იაშამ პარაშუტით გატაცება სპორტის ოსტატობით დაამთავრა. უფროსი და მარინე, ადრე ნახაზებიდან თავს რომ ვერ იღებდა, მხატვრულ ტანვარჯიშს მიეძალა და კიდეც ნანობდა, აქამდე დრო რად დავკარგეო. უმცროსმა დამ რიტამ 400 მეტრზე რბენაში რეკორდი რომ დაამყარა, პროფესიონალი სპორტსმენიაო თქვეს და მხოლოდ შემდეგ გაიგეს, რომ ქალიშვილი მალე საგზაო ინჟინერი გახდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხნი იყვნენ და ოთხივე სპორტს მისდევდა. თავიდან კი ყველაფერი მან წამოიწყო — ვისაც ორი ნაწნავი ჰქონდა, ვინაც სიგრძეზე შორს ხტებოდა. იგი სპორტისათვის იყო დაბადებული და უმისოდ არც შეეძლო.

სერიოზული ვარჯიში ლენამ ბორის დიაჩკოვთან დაიწყო. მწვრთნელი მკაცრიც იყო და ლმობიერიც, უფროსიც და თანატოლიც.

და ლენა დარბოდა, ხტებოდა. მასთან იყო ბორისი.

ლენა ცურავდა, ორძელზე ადიოდა, მასთან იყო ბორისი.

დედა გახდა. და ამას მოჰყვა... შინ სირბილი, ბავშვის მოვლა. ინსტიტუტში კი ლექციები გრძელდებოდა, დარბაზში — იარაღებზე ვარჯიში. ლენა ყველგან იყო, ყველაფერს ასწრებდა. 1938 წელმა საზეიმოდ სპორტის ოსტატობა მოუტანა. შემდეგ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, საკავშირო რეკორდი 80 მეტრზე დაბრკოლებების დაძლევაში, ევროპის პირველობისათვის მრავალგზისი ბრძოლა, მეორე ადგილი მე-15 ოლიმპიურ შეჯიბრებაზე, ოლიმპიურ თამაშობათა პრიზიორობა, თვენახევარი ჩინეთში — სპორტსმენთა კადრების მომზადება, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 28 მედალი, საპატიო ნიშნის ორდენი. აი, რამდენი რამ ჩაეტია 20 წელიწადში.

20 წელი ლენა სტარტზე იდგა. ნიშანი და მოსწყდებოდა ადგილს.

# კვლავ

20 წელი ლენა სტარტს არ თმობდა. ნიშანი და ფინიშთან პირველი იყო.

20 წელი.

ხუმრობა ხომ არ არის. ადამიანს ეტყობა მისი სიმძიმე, ძალაც ნაკლები აქვს, მოქნილობაც. ლენა კი კვლავ ისეთივეა, არცერთი არ დაუთმია, მაგრამ...

სამი წლის წინ გაიხსენა, როგორ დაიწყო მისი პირველი გაკვეთი-

# ფინიშთანაა

ლი მწვრთნელთან, შემდეგ რა ასწავლა, შემდეგ რა... ან როგორი მიდგომა ჰქონდა, ან გულის გახსნის როგორი უნარი.

და სამი წლის წინ მანაც ასე ჩაატარა პირველი მეცადინეობა.

მის წინ გამხდარი გოგონა იდგა. მხარზე ორი ნაწნავი ეგდო. თვითონაც ხომ ასეთი იყო! რაშიც გამოსცადა, ყველაფერში ივარგა და დაიწყო წვრთნა, ოფლშეუშრობი.

გამოკითხა და გაიგო: გოგონას მამა არ ჰყავდა. მარტოხელა დედა ქარხანაში მუშაობდა და ისე ინახავდა შვილს. ისიც გაიგო, ყოველდღე ავჭალიდან რომ დადიოდა სავარჯიშოდ. შინ ესტუმრა, დედა გაიცნო.

შემდეგ ყოველთვის მასთან იყო — გამოცდებისას, ავადმყოფობისას, სიხარულისას.

როცა რაისა იანშინამ სიგრძეზე ხტომასა და 80 მეტრზე თარჯრბენში საქართველოს პირველობა მოიგო, რამდენი წლისააო, — იკითხეს და თხუთმეტისო, — უპასუხა მწვრთნელმა. თვითონაც ხომ თხუთმეტი წლისა იყო, პირველი გამარჯვება რომ მიულოცეს!

და ყოველთვის ჰგონია, რომ აღსაზრდელების მაგიერ თვითონ დგას სტარტზე. რა ჰქნას, ვერ დაუთმია! ჰგონია. ნიშანი და... სურს ადგილიდან მოსწყდეს. ნიშანი და... თითქოს კვლავ ფინიშთანაა.

**ლია კაკაბაძე.**



ელენე გოკიელი აღსაზრდელებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთხელ გზაზე



თინა დონჟაშვილი

მხატვარი ირინე რაზმაძე.

## ლ ე გ ე ნ დ ა

მთიდან ფეხმარდი ცანგალა ჩამოქანდა ბარში.

— ეჰეი-ი, ხალხო-ო, ცხვარი მთაშია, რაღას უყურებთ, დაიძარით, ხალხო-ო!

სიხარული ფეხდაფეხ დასდევს ცანგალას, მოვარდნილ მდინარესავით ედება ბარის სოფლებს, მაჭარივით აზრუებს ხალხს. მალე ზაფხულის იალაღებზე შეხვდებიან მომთაბარეთა ყოფით გაყრილი, ერთმანეთს მონატრებული ახლობლები.

სიზმარივით გაირბენენ ის დღე-ღამეები მთაში. ისევ მოულოდნელად დადგება განშორების წუთები. კვლავ გაიყრებიან. ერთ მხარეს წავლენ, შორეულ ტრამალებისაკენ ცხვარს გაჰყვებიან მამები, ქმრები, ძმები, მეგობრები, სატრფონი და მეორე მხარეს წამოვლენ, მთის ბარაქით დატვირთული ქარავნებით ბარისკენ დაეშვებიან შინაჯალაბნი. განშორებას ისევ მოჰყვება გაუთავებელი ზამთრის თვეები, ორივე მხარეს სავსე მოლოდინით, ფიქრით, დარდით, ფათერაკით, იჭვიანობით...

მაგრამ დაე, ეს ყველაფერი ასე იყოს. ახლა, მოახლოვებული შეხვედრის ნანატრ საათს, აღარავის ახსოვს განშორების მძიმე წუთები.

მთისკენ დაიძრა ალვანიც.

მწველ მოგონებაში წასული მზახა, სევდით გასცქერის მიმავალ თანასოფლელებს. შარშან ისიც მათთან იყო, ყველაზე მხიარული და ბედნიერი. შარშან სოფელს გიგია მიუძღოდა, მთასავით ვაჟკაცი, თვალმცინარა, გულადი, დიდ-პატარის გამტანი და... მეზობლის ცხვრის გადარჩენას შეეწირა...

მზახას არც გაუგია, რომ მის სახლთან გაჩერდა გაჭენებული ცხენი. მხედარი ახალი მეგზური, გიგიას სიყრმის მეგობარი ზალიკა იყო. ზალიკამ მზახას გადმოხედა, ჩუმად ამოიოხრა, ვეებერთელა ბანჯგვლიანი ქუდი წარბებზე ჩამოიგდო, ცხენიდან გადმოხტა და სწრაფად მიუახლოვდა ქალს.

წამს უყურებდნენ ერთმანეთს, ერთმანეთის დარდის ვაჟკაცურად უხმო მოზიარენი. მერე მოსულმა დაილაპარაკა:

— ხო იცი, ველარ დაიცდიდა ხალხი, მზახა...

— ისევ დაგიგვიანდათ... — ჩუმადა სთქვა მზახამ.

— ყველასაც უნდოდა გიგიას მოხსენიება... ნუ უწყენ ხალხს, მზახა, ხო იცი...

„წყენას სადღა აქვს ადგილი ამ დარდიან გულში"? — გაიფიქრა მზახამ და ზალიკამ ველარ აიტანა მისი ნაღვლიანი გამოხედვა, განაგრძო:

— შენც ნუღარ დაიგვიანებ.

— მოვრჩები წესს და წამოვალ.

— კაცს გამოვგზავნით დასახვედრად. წავედი.

— გზა მშვიდობისა, ზალიკავ!

— ისე იფიქრე ჩვენც ერთობლივ შენთან ვიხსენიებთ გიგიას.

სიტყვაძვირ ზალიკას უჭირდა სათქმელის თქმა, მაგრამ წასული მაინც შემოტრიალდა:

— გეთქვა თანხმობა, გაგეტანებინა ბალღები. ბატკნებივით უბით ვიტარებდით. ნაკლები საზრუნავი გექნებოდა გზაში.

— არა, ზალიკავ, დაე, ბიჭებმა მოიხსენიონ მამა. ღირსი არ იყო გიგია?

— ელიას მადლმა, არ ვიცი ამ ქვეყნად რა არის იმისთანა, გიგია იმისი ღირსი არ იყოს!

ზალიკამ ფანჯრიდან თვალი შეავლო წყვილად მძინარე ბიჭებს. გამეტებით ჩამოიწიწკნა შავი ულვაში, მოახტა ცხენს და ჭენებით დასძრა ადგილიდანვე.

დიდიხანია გაუჩინარდა ქარავანი. დაჯდა შარაზე დაყენებული მტვერი. ფრთამალ ფრინველივით გასცდა სოფელს ახალგაზრდების სიმღერა. მიწყდა სალამურის ხმაც, ბავშვების ჟივილ-ხივილიც, ძაღლების ყეფაც. ცასა და მიწის შუა გადნა ცანგალას რიხიანი შეძახილები, ზალიკას ცხენის თქარა-თქურიც. მზახა კი ისევ ისე დგას, ისევ გაჰყურებს გზას. ჩამოქნილი, ჯანღონით სავსე, დედაბოძივით შესდგომია დაობლებულ სახლის ჭერს. მზე შეუმჩნევლად მიჰპარვია შავი კაბის კალთიდან ოდნავ გამოჩენილ, ღონიერ, მოხდენილ ტერფს. მსხვილი, ხენდროსფერი ტუჩები უხმოდ ულოცავენ გზას მთაში წასულებს, მაგრამ ლოცვა ოდნავადაც არ უყუჩებს გულის დარდს. დამწვარ-დაქარულ შავგვრემან ლოყაზე ნელა მოგორავს მძიმე ცრემლი.

ათი დღის შემდეგ მზახამ ქმარს დაღუპვის წლისთავის წესი აუგო. ვაჟკაცის წლის ულუფა სოფელში დარჩენილ მოხუცებს, ავადმყოფებს, ფეხმძიმე ქალებს დაურიგა და მეთერთმეტე დღეს გზას დაადგა.

შავებში, ყურებს ზემოთ აკეცილი შავი თავშალით, წელგამართული მიდიოდა მზახა. ცალ ხელში პატარა ბოხჩა ეჭირა, მეორეში — ალვირი. ალვირს ტანმორჩილი, მთის ბილიკებზე ნაწრთობი ცხენი მისდევდა, ხალისიანად ბეჭდავდა ბუქში მოკლე, მაგარი ფეხების ფლოქვების კვალს. ცხენზე გადაკიდებული ხურჯინის თვლებიდან ბავშვები იყურებოდნენ. ორი, ერთმანეთის მსგავსი შავგვრემანი ბიჭი მხიარული ღიმილით ხელს უქნევდა, ეთხოვებოდა უკან გაქცეულ ხეებს, სახლებს, ღობეებს, სოფელს.

საღამოს მიაღწიეს შუა გზას — გოგირდის წყაროს.

მზახამ ცხენს საბალახო მიუჩინა, ბიჭები დაბანა, საგზალი გაუნაწილა და მერე მიძინებული ბავშვების გვერდით ჩასთვლიმა. და როცა კლებადი მთვარე გააფითრეს ჯერ უჩინარმა მზის სხივებმა, პატარა ქარავანი ისევ გაუდგა გზას. ციოდა. შორეული მთებიდან ზანტად მოცურავდა ქათქათა ნისლი, გზადაგზა უწესრიგოდ სტოვებდა ნაფლეთ-ნაგლეჯებს.

მიდის მზახა. ბილიკი გაურბის სულ ზევით და ზევით, თითქოს ცას ებმის მისი ბოლო. სულ ვიწრო და ვიწრო ხდება ბილიკი. ორი ცხენი გვერდს ვერ აუქცევს ერთმანეთს, ორი კაცი ვერ ასცილდება ერთი მეორეს. მარცხნით პირქუშად ჩამოწოლილა სალი კლდე, გასრესით იმუქრება, უტიფრად ავიწროებს ბილიკს უძირო უფსკრულისაკენ.

მიდის მზახა, მიუძღვის ცხენს და, როცა ალვირის ტარებისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან გაწეულ მხრის სახსარში მბურღავი ტკივილი აუტანელი ხდება, ნელნელა ამოკლებს ნაბიჯს, ცალი თვალით გზას გაჰყურებს, ცალით — ბიჭებს ეძრახება.

— როგორა ხართ, შვილებო?

— კარგად, დედიკო, კარგად! — ერთხმად უპასუხებენ ბიჭები.

ისინი მართლაც ჩინებულად გრძნობენ თავს. რა უშავს, რომ დედამ საგზაოდ გასაძლომი პურიც კი არ წამოიღო, იციან — ამ ციცაბოზე შემდგარი ცხენის გადატვირთვა არ ივარგებს. განა მათგან იწყება ნაკლებულობით სავსე მწყემსის ცხოვრება? ამტანობა შთამომავლობით მოსდევთ. ყველაფერს ამჩნევენ ბიჭები. მათ ბალახიც ართობთ, კანკალით რომ ჩასჭიდებია მრისხანე კლდეს; კენჭიც, ცხენის ფლოქვით აგდებული უფსკრულისაკენ რომ მიექანება; შორეულ მთის წვერზე ბოხოხივით ჩამოფხატული ნისლიც, ცხვარივით ხუჭუჭი ღრუბელიც, მათი უდარდელი სიცილი დროდადრო აყრუებს ცხენის თქარა-თქურსაც, ულიმღამო ბუჩქებს შეკედლებული, გზააბნეული ჭრიჭინას გაბმულ ჭრიჭინსაც...

უცებ წინ, ბილიკის ნაპირზე რაღაცამ ცეცხლივით გაიკრთომა, თითქოს ბიჭების გასართობად ვიღაცამ უფსკრულიდან ალისფერი ნაჭერი ამოისროლაო.

— პეპელა! — გახარებულმა შეათამაშა ჰაერში ხელები უმცროსმა, სამწლიანმა ბიჭმა.

— ყაყაჩოა! — დინჯად მოსჭრა მასზე ერთი წლით უფროსმა ძმამ.

— პე-პე-ლა! — აღტაცებით გაიმეორა პატარამ და მთელი სხეულით წამოიწია, რომ შეჰგებებოდა, ჩაებღუჯა ის საოცარი, მომხიბვლელი ფრთები.

— გეუბნებიან ყაყაჩოა, სულელო! — დაბეჯითებით სთქვა მეორემ და დიდივით შეიკრა შუბლი.

— პეპელაა! მე ვიცი, პეპელაა! — შეხტა ხურჯინში პატარა.

— ყაყაჩოა-მეთქი! — გაჯავრდა უფროსი და გადაიხარა, ეგონა დაწვდებოდა, მოსწყვეტდა ყვავილს, ვინ იცის რისთვის, აღაღანებულს ამ ტიალ, მოღუშულ ხეობაში.

ბავშვების შეძახილებმა ერთბაშად გაუწყვიტეს ფიქრი დედას.

მზახა მოტრიალდა. ცხენი ორივე მარჯვენა ფეხით ცდილობდა მოჰკიდებოდა ბილიკის ჩაფხვიერებულ ნაპირს. ხურჯინი მარჯვნით გადაწეულიყო. შეშინებული ბიჭები მხრებში ჩასჭიდებოდნენ ერთმანეთს.

დროის რაღაც უმცირეს მონაკვეთში იგრძნო და შეაფასა საფრთხე თუშის ქალმა. მარცხნით გადახტა, მაგრამ ყრუ, ჩაშავებული კლდე თითქოს განზრახ წამოწეულიყო, არ უშვებდა ამოეთრია ცხენი ბილიკზე. მზახამ თავი შეახალა კლდეს, თითქოს ლამობდა მის შენგრევას, მერე ცალი ხელით დამოკლებულ აღვირს ჩაებღაუჭა. მეორეთი — ხურჯინს, მაგრამ ახლა უკვე ცხენის მარცხენა ფეხებიც უილაჯოდ სრიალებდნენ ბილიკის ნაპირზე. ქვევით უფსკრულში ჩაირიხინეს ქვებმა, ჩაწვა მიწაც და ცხენი როგორღაც რბილად, ფრთხილად, თითქოს ბიჭებს არ ეტკინოთ რაო, მარჯვენა ფერდზე დაეშვა.

მზახამ აღვირი ხელებზე დაიხვია, ბილიკზე გაწვა, ტერფები კლდეს მიაბჯინა და გამოსწია ცხენს, კიდევ, კიდევ...

— ამოვწევ. ამოვიტან. ოღონდ ღონე მეყოს... უეჭველად ამოვწევ... — უელავს თავში მზახას. გათეთრებული ტუჩებით ევედრება ცხენს, კლდეს, ღმერთს, წმინდანებს.

— კეთილო კლდეო, დაიხიე ერთი გოჯით. მხოლოდ ერთი გოჯით! — ჩურჩულებს და ეწევა აღვირს, მთელი ძალით ეწევა...

— რად გაჩუმდნენ ბიჭები? ხო, იციან ყვირილით ცხენს დააფრთხობენ... კეთილო ცხენო, შენც გევედრები. შენ ცდილობ ადგომას? დაილოცე. გესმის? დედა გლოცავს... ცოტაც, ცოტაც მიშველე, მიშველე, როგორც მე გშველი შენ... — ხრიალებს მთელი სხეულით დაჭიმული მზახა, ეწევა აღვირს, მაგრამ ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი ცხენი გავით მისცურავს ქვევით, სძალავს მზახასაც.

ტკაცანი ისმის. არა, მზახა არა გრძნობს არაფერს. მხოლოდ თქრიალით წამოსული სისხლი და გაგლეჯილი სახელოდან ამოჩრილი თეთრი ძვალი უშლის. მზახა ტკივილს არა გრძნობს. მხოლოდ ნახევარი ღონე-ღა დარჩა, ცალი ხელი-ღა დარჩა...

... მაგრამ აღარც ეს ხელი სჭირია. ბილიკის ნაპირზე აღარ მოსჩანს ხურჯინი. ჩაიძირა ცხენის თავიც, ყურებიც... ვიღაცამ მზახას ხანჯალი გადაუსვა თვალებზე.

— გიგიაუ!... — ყვირის მზახა, აღარ ეშინიან, რომ ცხენი დაფრთხება. დარჩენილი ძალღონით ფეხი ჰკრა კლდეს, განიზიდა მისგან და დაჭიმულ აღვირს მიენდო...

იმ უგულო კლდეს, რომლიდანაც ბილიკის განივ უფსკრულისკენ სისხლის ზოლი მოდიოდა, მზახას თანასოფლელებმა ლოდი ჩამოამტვრიეს. იმ თაღში არყით სავსე ჯამი დგას მუდამ. გზად გავლილი თუში დალევს დედის შესანდობარს და თაღში დასტოვებს ისევ პირსავსე ჯამს.



# ჩვენი სტუმრები



ირანელ ქალთა დელეგაცია ვაკის პარკში



ელგიელ ქალთა დელეგაცია მთავრობის სახლთან



ფინელთა დელეგაცია რუსთავში

## ი რ ა ნ ი დ ა ნ

„ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ფეხი დავდგით თქვენი უძველესი ქვეყნის მიწაზე"... — განაცხადეს ირანელმა ქალებმა, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ.

საქართველოში ყოფნისას დელეგაციის წევრები გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალებს, მათს შრომით მიღწევებს.

„საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს ქალებმა ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომელთა მოსაპოვებლად სხვა ქვეყნის ქალებს დასჭირდებოდათ ორი ასეული წელი", — სთქვა დელეგაციის ერთერთმა წევრმა.

სტუმრები გააოცა ხელმძღვანელ, პასუხსაგებ თანამდებობებზე საბჭოთა ქალების დაწინაურების ფაქტმა. აი, რა სთქვა ამის შესახებ დელეგაციის წევრმა მონირე მაჯიჯი ვაკილი ნიკჯუმ:

„მე გავეცანი გამოჩენილ ქართველ ქალებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის მართვაში, დავუმეგობრდი მათ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალთა ნამდვილმა თანასწორუფლებიანობამ სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში".

დელეგაცია ესტუმრა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, გაეცნო წრეების მუშაობას, ნახა ბავშვთა თვითშემოქმედება.

„შესანიშნავია, რომ თქვენს ბავშვებს აქვთ ასეთი სასახლე".

„განსაკუთრებით მომეწონა თქვენი ბავშვების გარეგნული შესახედაობა, რაც ლაპარაკობს მათს კარგ განწყობილებასა და ჯანმრთელობაზე".

ასეთი შთაბეჭდილებები დასტოვეს სტუმრებმა საქართველოზე და განაცხადეს, რომ ყველაფერ იმ შესანიშნავსა და კარგზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ნახეს, მოუყვებიან თავიანთ თანამემამულეებს.

## ბ ე ლ გ ი ი დ ა ნ

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ბელგიელ ქალთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს ვექილი ქ-ნი სტელა ვოლფი.

დელეგაციამ ინახულა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარი.

თბილისში ყოფნისას ბელგიელ ქალთა დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ, გააცნო მათ საქართველოს ისტორია და განათლების მდგომარეობა.

## ფ ი ნ ე თ ი დ ა ნ

ამასწინათ საქართველოს ეწვია ფინელ გემთმშენებელთა დელეგაცია. მის შემადგენლობაში იყო მუშა ქალთა წარმომადგენელი ლიზა ტალი.

— საბჭოთა ქალებისაგან განსხვავებით, — აღნიშნა მან, — ფინეთში პასუხსაგებ სამუშაოებზე ქალებს ვერ ნახავთ, მათ შეხვდებით მხოლოდ დამხმარე სამუშაოებზე. თუ საბჭოთა კავშირში მშრომელ ქალებს საშუალება აქვთ თავიანთი შვილები საბავშვო ბაღებში დაჰყავდეთ, ფინელი დედები იძულებული არიან ისინი თან წაიყვანონ სამუშაოზე ან ქუჩაში დასტოვონ.

ლიზა ტალი შეეხო ქალთა იმ სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც ცდილობენ ქალთა და ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, იბრძვიან ქალთა უფლებების დასაცავად, სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.



მ თ ა წ მ ი ნ დ ა ზ ე

ფოტო ვ. ჯეირანაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ძგერდა ჩვენი გულები, როდესაც თვითმფრინავმა მოსკოვის თავზე წრე მოხაზა და აეროდრომზე დაეშვა; მასპინძლები შეგვეგებნენ გულითადად, სიყვარულით, ხვევნა-კოცნით, თაიგულებით.

როგორ გვიხაროდა, როდესაც კრემლში შემდგარ მიტინგზე საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლები ინფორმაციას აკეთებდნენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესის შედეგების შესახებ. ათასობით გამოჩენილმა პიროვნებამ, თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად დიდი პატივი გვცა ჩვენ, მშვიდობის დამცველებს.

და ვერ ვმალავდით სიხარულს, როცა ჩვენთან ვხედავდით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს: კ. ვოროშილოვს, ნ. ხრუშჩოვს, ა. მიქოიანს, ე. ფურცევას, პ. პოსპელოვსა და სხვებს, მათ, რომლებმაც აღაფრთოვანეს მთელი მსოფლიოს დედები დიდი ჰუმანური ნაბიჯით—ატომური იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტით.

ნამდვილი სახალხო მთავრობაა!

მშვიდობის მთავრობა!..

საქართველოს ქალებო! ახლა თქვენთან ვართ სტუმრად, მშვენიერ საქართველოში. თქვენ გაგვაცანით ჩვენ, ძვირფასო მასპინძლებო, თქვენი ულამაზესი რესპუბლიკა, მისი შეუდარებელი მთები და წყალუხვი მდინარეები, აყვავებული ბაღები... ჩვენ მოგვხიბლეს და აღგვაფრთოვანეს თქვენმა შესანიშნავმა ადამიანებმა...

ძვირფასო მეგობრებო! გულახდილად გეტყვით, რომ ჩვენი ქვეყნებიც ლამაზია, მაგრამ ეს სილამაზე ხალხისათვის მიუწვდომელია, მთელი სიმდიდრე უმცირესობის ხელშია.

ასე იყო თქვენთან-საქართველოშიც რევოლუციამდე.

საქართველოში ყოფნის დღეებში ვნახეთ თუ როგორ ცხოვრობენ თქვენი მუშები და გლეხები, როგორ ზრუნავენ ბავშვებზე ბავშვთა ბაგებში, საბავშვო ბაღებში, პიონერთა პარკებში, როგორ სწავლობს და იზრდება თქვენი ახალგაზრდობა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

დავრწმუნდით, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ქალები სარგებლობენ თანასწორუფლებიანობის კანონით. თქვენი ქალები არიან მთავრობის წევრები, საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების აქტიური მონაწილენი.

ჩვენ გავიცანით და გულითადი საუბარი გვქონდა ხელმძღვანელ მუშაკ ქალებთან—განათლების მინისტრის მოადგილესთან, უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანთან, დეპუტატებთან, ჟურნალის რედაქტორთან, მწერლებთან, გმირ დედებთან, სკოლის დირექტორებთან, სახელგანთქმულ კოლმეურნე ქალებთან, პროფკავშირების თავმჯდომარეებთან...

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ მოვუთხრობთ ლათინური ამერიკის ქალებს თქვენი ცხოვრებისა და შრომის, თქვენი დიდი უფლებების შესახებ.

ამერიკელმა ქალებმა დაგვავალეს გადმოგცეთ მათი გულწრფელი სურვილი, მათი გადაწყვეტილება—ყველაფერი მოახმარონ იმას, რომ თავიდან აიცილონ მესამე მსოფლიო ომის საშიშროება.

ხალხებს სურთ მშვიდობა, ამასვე აღიარებენ, ამისათვის იბრძვიან მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქალები.

საყვარელო ქართველო ქალებო! იმის მაგიერ, რომ გითხრათ მშვიდობით, გეუბნებით—ნახვამდის!

მადლობა, გულწრფელი მადლობა, ქართველო მეგობრებო! ჩვენთან შეხვედრამდის!

რაკელ ეტლისი, კლარა ელმანი, ალმა ლოპესი, სარა ტალია (არგენტინა).

რებეკა კუიასი, მარია გულია ლამპისტროუსი, ამანდა კანლე, ანტონია ვილიასდა გროვე (ურუგვაი).

მარია ანტონია გონსალესი, ლილია ალბარესი (კუბა).

ლილია ხიმენესი (სალვადორი).

თბილისი. 1958 წლის ივნისი.



ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ რედაქციაში



შეხვედრა თბილისის ქალთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.



თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1875 წელს დავით ერისთავმა „ცისკრის“ რედაქციას გადასცა „ძველთა ბეჭედზედ წარწერილი ლექსები“. ამ მშვენიერ ლექსთა შორის იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ მანანა ორბელიანის ბეჭედზედ თქმული:

„უდროთ მზის დასვლით მაზნელა
სოფელმან ანაზდეულად“...

ამბობენ, მანანა ორბელიანი ამ ბეჭედს 1832 წლის შეთქმულების შემდეგ ატარებდაო. გრიგოლ ორბელიანი თურმე მრავალჯერ სთხოვდა დაეთმო მისთვის ეს მშვენიერი სამკაული, მაგრამ მანანა ვერ ელეოდა...

ქსნის ერისთავის უმშვენიერესი ასული და ორბელიანთა რძალი უპირველესი იყო იმ ქალთა შორის, ვინც თავისუფლების ბაირაღებს კერავდა 1832 წელს და ვინც „დაიფიცა — კაცურად ჩავიცვამთ და უკანასკნელ სისხლს დავღვრით მამულისთვისო“...

მანანა მაშინ 24 წლის იყო, ქვრივი... და სამი შვილი ჰყავდა — ტასო, ივანე და ალექსანდრე.

შეთქმულების მარცხს შერიგება მოყვა... მთავარმართებლის ბრწყინვალე სალონი, მეჯლისი, ლხინი, შექცევა და თავდავიწყება...

მაგრამ ქვეყნის უკეთეს შვილთა ყრუ ტკივილი არ ნელდებოდა...

ორბელიანთა უბანს ხუმრობით „ორბელიანთა აულს“ ეძახდა გრიგოლ ორბელიანი. აქ, ერთმანეთზე მიწყობილ აივნიანსა და ბანიან სახლებში ცხოვრობდნენ სახელგანთქმული ოჯახები... და ყველამ იცოდა ორბელიანების ქალ-რძალთა სიტურფის ამბავი. „წელნაზი თამარ, გულ-ტრედი ქეთევან, კრასავიცა ბაბალე, მინაზებული სოფიო“... ეს ეპითეტები გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის... და კიდევ — ანა, მარიამ, მაია, მაიკო, მანანა...

ამბობენ — ერთხელ, ალექსანდრე ჭავჭავაძისას ანა და მანანა ორბელიანები მისულან, სტუმრებს კარისთვის ფეხი არ გადაებიჯებინათ, პოეტს რომ მაჯამად უთქვამს:

„სვემ მაწვიმა მანანა,
მომივლინა მან ანა,
მას თან მოჰყვა მანანა,
მინანავა მან ნანა“...

მანანას სახლი, საიდანაც ერთ დროს მამულის განთავისუფლება უნდა დაეწყოთ პატრიოტ ქართველებს, ახლა ბრწყინვალე სალონად იქცა. აქ თავს იყრიდნენ დედაქალაქის წარჩინებული პირები, კულტურისა და ლიტერატურის მაშინდელი მესვეურნი, უცხოეთიდან ჩამოსული ბრწყინვალე სტუმრები.

„ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო. მაგრამ ცარიელის ნატვრით რა გამოვა“... — წერდა მანანას შამილთან ბრძოლებში მყოფი და თავის საყვარელ თბილისს მოშორებული გრიგოლ ორბელიანი.

მანანას სალონში დასაბამი ეძლეოდა მთელ რიგ მნიშვნელოვან კულტურულ წამოწყებებს საქართველოში. თავის მოგონებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის მეგობარი ლუკა ისარლიშვილი წერს:

„მანანა ორბელიანის სალონი იყო, საცა „ცისკრის“ გამოცემასა და ქართულ თეატრს მიეცა დასაბამი.

აქ იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს ტატო (ასე ეძახდნენ ნიკო ბარათაშვილს), გიორგი ერისთავი, ბირთველიჩი (მიხეილ თუმანიშვილი), მაღალაშვილი, ყიფიანი და სხვა.

ერთ საღამოს თქვეს: მოდი ერთი, ჟურნალი გამოვცეთო და ის იყო... ვორონცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა და იქ შეიტყო ამ განზრახვის შესახებ და გიორგი ერისთავზეც. მოიწონა და „შემწეობა მისცა ჟურნალის გამოცემისა და თეატრისათვის“.

ცნობილია, რომ 1850 წლის 2 იანვარს, როცა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სცენაზე პირველად წარმოადგინეს გიორგი ერისთავის „გაყრა“, მანანა ყარდაშვერდის როლს ასრულებდა.

1835 წლის გაზაფხულზე მანანა ჭავჭავაძეებს ესტუმრა წინანდლის სახელგანთქმულ მამულში და ალაზნის ველის მშვენიერებით მოხიბლული ოცნებასა და თავდავიწყებას მიეცა.

ეს „უცხოდ შექცევა“ მით უფრო სამახსოვროდ დარჩა მანანასათვის, რომ მის წინანდალში ყოფნას დაემთხვა ალექსანდრე პუშკინის ძმის სტუმრობა ჭავჭავაძეებთან.

პუშკინის ძმას ნინო ჭავჭავაძის ოჯახში წაუკითხავს „რუსლან და ლუდმილა“, რომელიც იქვე „ზეპირად უთარგმნიათ“ მანანასათვის.

მანანა დაინტერესებულა ამ პოემით და გადასახლებაში მყოფი გრიგოლ ორბელიანისათვის მიუწერია:

„ახლა გთხოვ, გრიგოლ, თუ ქისები და წინდები გინდა, ხომ კიდეც დამპირდი წიგნის თარგმნასა და შემისრულე ჩემი თხოვნა. „რუსლან და ლუდმილასი“, ის წიგნი მითარგმნე, შენი ჭირიმე, ისე კარგადა და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი. თუ გინდა, რომ შეიტყო, ეს სახელი ვინ მასწავლა, მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიმე, სადაც იყოს, იშოვე და მითარგმნე, ყმაწვილო“...

მანანას თხოვნითა და რჩევით ბევრი სასარგებლო რამ გაკეთებულა ჩვენს ლიტერატურაში. ჭაბუკი ბარათაშვილი თავის მეგობრებით მანანას ხშირი სტუმარი ყოფილა. თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს ისინი მანანას სალონში კითხულობდნენ. მანანა მათ „გულღიად იღებდა და ახალისებდა ამგვარი შრომისათვის“.

მანანასთვის მიუძღვნია „რომეო და ჯულიეტას“ ქართული თარგმანი დიმიტრი ყიფიანს. ამ თარგმანის თავფურცელს აწერია: „კნეინა მანანა ორბელიანისათვის ქართულს ენაზედ გადმოღებული ყიფიანის მიერ“... ეს თარგმანი და ბარათაშვილის მიერ შესრულებული ლეიზევიცის ტრაგედიის — „იულიოს ტარანტელის“ თარგმანი, რომელიც არ შენახულა, მანანას სალონში წაუკითხავთ. ბარათაშვილი ამის თაობაზე ბიძას წერდა — ჩვენმა განათლებულმა ქალებმა, ასე გასინჯეთ, იტირესო...

ბარათაშვილსა და მის მეგობრებს მადლობის ნიშნად საკუთარ ნაწარმოებთა კრებული მიუძღვნიათ მანანასათვის. მანანას ჰქონია ბარათაშვილის ხელნაწერთა კრებულიც.

მანანა ქარგვის შესანიშნავი ოსტატიც იყო. მისი მოქარგული ქისა საამაყოდ ჰქონდათ გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს. მანანას ხელმძღვანელობით მის სალონში ქარგავდნენ მარიამ და მაიკო ორბელიანები, ელენე ერისთავი, მანანას ქალიშვილი ანასტასია. ისინი აგრძელებდნენ ძველი ქართული ქარგულობის შესანიშნავ ტრადიციას.

წლები გადიოდა... მტკვრის პირას, ორბელიანთ უბანში ჩუქურთმიანი აივნების წინ ქარმა მრავალჯერ გაფანტა თბილისური წითელი ვარდის უნაზესი ფურცლები... მანანას სილამაზეს ეშხი და მიმზიდველობა მაინც არ აკლდებოდა. ორმოცდაათ წელს იყო მიღწეული ეს მშვენიერი მანდილოსანი, როცა თბილისში ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი სეიმური მისი სილამაზის ტყვე გამხდარა. მარიამ ორბელიანი იგონებს: „სეიმური იშოვიდა თუ არა ხელსაყრელ დროს, უხსნიდა მას სიყვარულს ინგლისურ ენაზე, რომელიც მანანას არ ესმოდა, მაგრამ ატყობდა, რომ ეს სიყვარულის ახსნა იყო და რომელიც, მისი აზრით, მისი ქალიშვილისადმი იყო მიძღვნილი.

ბოლოს, ერთი მეტისმეტად მხურვალე სიყვარულის განცხადების შემდეგ, მანანამ უთხრა ვიღაცას, რომ აეხსნათ სეიმურისათვის, რასაც ის მას სთხოვს, სრულებით არ არის მისგან დამოკიდებული და რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ქალის, ტასოს საქმეა. მანანას აუხსნეს, რომ სეიმურისაგან გრძნობების გამოხატვა ეკუთვნის არა მის ქალს, არამედ თითონ მას, რაზედაც მანანამ ბევრი იცინა“...

მისი განათლება, სილამაზე, დიდბუნოვნება მოსაგონად დარჩათ თბილისელ ასულებს. და შემდეგ თაობებს გადასცემდნენ ამ მოგონებას.

**ლამარა კიკილაშვილი.**

# მანანა ორბელიანის

# სალონი



მანანა ორბელიანი

მეგობრებთან

მხატვარი

ეკატერინე ბაღდავაძე



პრაღა



ჩეხიის კრუმლოვი—ქალაქი სამხრეთ ჩეხიაში



ქ. აურანგაბადი. აურანგზებას მეუღლის მავზოლეუმი —„ბი-ბი-კა მაკბარი“.



ქ. ბენარესი. გაზაფხულის პირველი დღე მდინარე განგაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმრად ინდოელ ქალებთან

მარიკა ბარათაშვილი.

დელის აეროდრომიდან. თითქო მზის შესახვედრადო, დილის 7 საათზე ავიჭერით ცაში. მანაც არ დააყოვნა, პირველი გაუბედავი სხივები სარკმლებში შემოგზავნა და რბილ სავარძლებში მსხდომნი — 8 სტუმარი საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტიდან და ორი ინდოელი გამყოლი სათითაოდ შეგვათვალიერა.

თვითმფრინავმა ჩვენ პატივსაცემად ჯერ დელისა და შემდეგ აგრის თავზე შემოხაზა წრეები და ჰაიდარაბადისაკენ გაჰკრა კუმარა...

ქვემოთ. ველებსა და გორაკებზე. ქალაქებსა და სოფლებზე მსუბუქი ნისლი გაწოლილა... მოუთმენლად ველით როდის მომძლავრდება მზე, მკლავებს დაიგრძელებს, პირბადეს აკეცავს და ულამაზესი მთებისა და პალმების ფონზე გამოაჩენს ამ უცხო სამყაროს.

სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენციაზე მივემგზავრებით. სწორედ იქ ვართ ინდოეთის მთავრობის მიერ მიწვეულნი და, გასაგებია, რად გაგვასწრო ოცნებამ და ჰაიდარაბადს დასტრიალებს თავს.

საინტერესოა, რას ვნახავთ ჰაიდარაბადში?

ამ ორ დღეში, რომელიც ქ. დელში და აგრაში გავატარეთ, მხოლოდ თვალის ერთი გადავლებით გავიცანით ქალები პარლამენტში, კოლეჯში, ველზე, ქუჩაში... ამათგან განსაკუთრებით ორმა შეხვედრამ გაგვახარა: 1. პარლამენტში დეპუტატ ქალთა საქმიანმა გამოსვლებმა და 2. იმპერატორ ჯაჰან გილის მეუღლის — ნურ ჯაჰანის ბრწყინვალე ნიჭის გაცნობამ იტმად-უდ-დოლის „არშიების“ აკლდამაში ქ. აგრაში. ამ შესანიშნავ არქიტექტორს და ქვეყნის ფაქტიურ მმართველ ქალს გარდაცვლილი მამისათვის აკლდამის გეგმა ფერადი ძაფებით აბრეშუმზე ამოუქარგავს და მომავალი თაობისათვის მშვენიერების ძეგლად დაუტოვებია. შეიძლება ითქვას, რომ აგრის სახელგანთქმულ აკლდამებში, თვით დიდებულ ტაჯ-მაჰალთან შეჯიბრებაშიც კი ეს ნახელოვნები განსაკუთრებული სინატიფით, და რაც მთავარია, გეგმის ღრმა ფილოსოფიური გააზრებით გამოირჩევა. აკლდამის კედლებში მკვდრის დატირება კი არა, სიცოცხლის მადიდებელი ჰიმნია ჩაქსოვილი...

ახლაც ნისლის პირბადის იქით ყველაზე მეტად არშიების აკლდამა გამოიხატა... სიმბოლურად მეჩვენება ეს ამბავი... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ქალთა შეკრებაზე თან მიგვაქვს ცხოვრების გზაგავლილ დიდად ნიჭიერი ქალის დანაბარები. თითქო ნურ ჯაჰანი შეჯიბრში იწვევს ქალთა თაობებს — შეჰქმნან დიდებული ძეგლები, აზრისა და საქმის უხუნარი ძაფებით ამოქარგონ თავიანთი ქვეყნის ველების ფარჩა...

მზე თანდათან მომძლავრდა.

თვითმფრინავმა რამდენჯერმე შემორკალა ჰაიდარაბადის ცა და აეროდრომზე დაეშვა.

დეკემბრის 23-ია, მაგრამ ცხელა, აუტანლად ცხელა.

თეთრი ტანსაცმლის ჩარჩოდან განსაკუთრებით შავად გამოიყურებიან აეროდრომის მსახურნი.

ფოტორეპორტიორებს აპარატები მოუმარჯვებიათ.

ფერად სარებში მორთული, ყვავილებით თმადამშვენებული ქალები ნარნარი რხევით მოეშურებიან ჩვენსკენ. სარი ამალლებს ტანს და თითქმის ყველანი ჩამოქანდაკებულებს გვანან. მშვიდად. ღირსეულად უჭირავთ თავი, წყნარად. თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობენ.

მასპინძლები მოგვესალმენ, ვარდყვავილწნულით მოგვრთეს და პირდაპირ შუადღის საუზმეზე მიგვიწვიეს.

დიდ ტალავარქვეშ ინდოეთის 14 შტატის დელეგატი ქალები ჯგუფ-ჯგუფად სხედან, დგანან და თავის 14 ენაზე წყნარად საუბრობენ. ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებენ. პირველი შეკითხვაა: როგორ მოგვეწონა ინდოეთი.

კონფერენცია დიდი ხეებით, ყვავილებითა და შადრევნებით დამშვენებულ ბაღში გაიხსნა დღის 4 საათზე.

ჩვენ პრეზიდიუმში დაგვსვეს, ოქროსა და ვერცხლისფერი ძაფების გირლანდებით დაგვამშვენეს.

კონფერენციის დღის წესრიგშია ქალთა მონაწილეობის საკითხი II ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მისთვის სახსრების გამონახვა ყველაზე მწვავე პრობლემაა დღეს ინდოეთში და ამ კონფერენციის მსჯელობის საგნადაც ეს საკითხი ქცეულა.

კონფერენცია 26 დეკემბრამდე გაგრძელდა. ორგანიზაციის საპროგრამო სიტყვით გამოვიდა სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენციის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და განათლების სამინისტროს მდივანი ლაქშმი მენონი.



ქ. მაისორი. კოლი ჩამუნდის ტაძარი.



ქ. დელი. ქუთბის მინარეთის კოშკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქ. ბენარესი. „მოცურავე ტაძარი" განგაზე.

„ჩვენი მოვალეობაა, — სთქვა მან, — ვემსახუროთ საზოგადოებას, გავაუმჯობესოთ ქალთა და ბავშვთა მდგომარეობა, დავეხმაროთ გაჭირვებულებს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანებს ჰქონდეთ საარსებო მინიმუმი და ბავშვებს შეეძლოთ სწავლა. ჩვენი მოვალეობაა ცხოვრების გარდაქმნა, ხალხის განათლება. მართალია, სხვადასხვა ქონებრივი მდგომარეობისა და ეროვნებისა ვართ, მაგრამ ამან კი არ უნდა გაგვთიშოს, პირიქით, ჩვენი მთავარი ამოცანაა ხალხის გაერთიანება, ბრძოლა ყველაფერი იმის წინააღმდეგ, რაც გვთიშავს"... შემდეგ ლაქჩმი დაუბრუნდა ქალთა საკითხს და სთქვა, რომ ქალები ჯერ კიდევ ჩამორჩენილები არიან და რომ დროა, ქალი დადგეს საკუთარ ფეხზე.

კონფერენციამ თავისი რეზოლუციით დიდ სახელმწიფოებს მოუწოდა მშვიდობისაკენ, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისაკენ.

სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენცია, ყველაზე დიდი და გავლენიანი ინდოეთის ქალთა ორგანიზაციებს შორის, დაარსებულია 1927 წელს. მასში სახელმოხვეჭილი მოღვაწე ქალები შედიან. 1947 წლამდე ეს ორგანიზაცია იბრძოდა ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის, ამჟამად კი მონაწილეობს იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც სახელმწიფოს აღელვებს.

მეორე გავლენიან ორგანიზაციად სრულიად ინდოეთის ქალთა საბჭო ითვლება. იგი ქალთა საერთაშორისო საბჭოში შედის. დაარსებულია 1925 წელს. ეს ორგანიზაცია ფართო საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა — აარსებს გაჭირვებულთათვის თავშესაფრებს, სასადილოებს და სხვა.

ნაციონალური ფედერაციაც ერთერთი დიდი ორგანიზაციაა. მას აქვს თავისი სექციები სხვადასხვა შტატში. სხვა ორგანიზაციებიდან განსხვავებით, მასში შედიან მუშა და გლეხი ქალები და მუშების ცოლები.

საერთოდ ქალთა ორგანიზაციებს ინდოეთში დიდი სამოქმედო არე აქვთ. მართალია, ინგლისის კოლონიალიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ ინდოელი ხალხის ცხოვრება ბევრად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა უეჭველ და დაჩქარებით გადაჭრას საჭიროებს. კერძოდ: 1. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია (ოფიციალური ცნობით, მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტია წერა-კითხვის მცოდნე, ხოლო ამათგან ქალები ⅓-ს შეადგენენ.); 2. მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლება — საბინაო მშენებლობა, კვების პრობლემის მოწესრიგება, მათხოვრობის ლიკვიდაცია; 3. ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა (ხოლერა, ყვავილი, კეთრი და სხვა) 4. ზოგადსაგანმანათლებლო მუშაობა — ბრძოლა რელიგიის მავნე გავლენებთან და მეტად მძიმე ადათ-წესების გადმონაშთებთან.

მაგალითად, სისხლნაკლულობით დაავადებულთა ისტორიების თვალის გადავლებამ დაგვარწმუნა, რომ გარდა პროდუქტების სიმცირისა, ამ დაავადებას იწვევს რელიგიით დადგენილი ვეგეტერიანობაც, ხოლო ინფექციურ დაავადებათა აცრა, ისევე როგორც ახლად დაკრეფილი ბოსტნეულის ჭამა ან მავნე მწერების განადგურება, მორწმუნეებს უდიდეს ცოდვად მიაჩნიათ.

ინდოეთს შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი ქალები ჰყავს. პარლამენტის 500 დეპუტატიდან 52 ქალია. განათლების სამინისტროსთან არსებული სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციის თავმჯდომარეა ქ-ნი დაშმუკი. ჩვენ გავიცანით ქალები — მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, ქალაქის მერი, სხვადასხვა ორგანიზაციების პრეზიდენტები და სხვ. და რა თქმა უნდა, ისინი თავის ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავენ ქალთა ცხოვრებისა და კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მართალია, ახლა ინდოეთში დაქვრივებული ქალი თავს აღარ იწვავს, მაგრამ როგორც წესი, გარდა მაღალი წრის ქალისა მეორედ აღარ თხოვდება და წვრილშვილის აღზრდაში მარტო რჩება. და თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ქალებს უხერხულად მიაჩნიათ მამაკაცებთან ერთ შენობაში მუშაობა, და არა თუ ფაბრიკა-ქარხნებში, არამედ მშენებლობებზე, რძის ფერმაშიც კი ქალები მეტად მცირე რაოდენობით არიან, ადვილად წარმოვიდგენთ მათ მდგომარეობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა მონაწილეობა თავშესაფრების დაარსებაში. მთავრობა, კერძოთ, სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაცია, დიდად ახალისებს საქველმოქმედო საქმიანობას, სუბსიდიებს აძლევს მათს დასაარსებლად. ჩვენ გავიცანით ქალი, რომელმაც გვითხრა, რომ ჰყავს 60 შვილი. აღმოჩნდა, რომ ის 60 უპატრონო ბავშვს ზრდიდა.

ქ. მადრასის ქალთა თავშესაფარში ქვრივი ან ქმრისაგან მიტოვებული 150 ქალი და 60 ბავშვია. აქ მათ 3 წელს ინახავენ, ასწავლიან სხვადასხვა ხელობას, რომ სოფელში დაბრუნებისას შეძლონ თავის რჩენა და სხვებსაც გადასცენ ცოდნა.

მადრასის ობოლთა თავშესაფარში 90 ბავშვია. მათი ნაწილი სახელმწიფოს, ნაწილი კი კერძო პირთა და შემოწირულების ხარჯზე იზრდება. ხშირად თავშესაფრის დამთვალიერებელი უცხოელები რო-

თამარ ორჯონიკიძე

# „ქართული“

მოთხრობა

ვაქიკო დედას მოსკოვს მიჰყავდა. მიჰყავდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. უხაროდა ვაქიკოს, იმიტომაც დაჰქროდა ოთახ-ოთახ.

ტაში, ტაში, ტაში! გაუსვი და გამოუსვი!

— შენ გენაცვალოს დედა! — ეუბნებოდა დედა.

მამა კი საყვედურს ამბობდა: რუსული რომ არ იცის, ვინ რას გაუგებს ქართულსო.

და ვაქიკოს გულში შიში შეეპარა. თვითმფრინავამდეც მიჰყვა, მოსკოვამდეც, ღამით საშიში სიზმარი ნახა.

ვითომ უცხო ძიები და დეიდები, ბავშვებიც ჩოჩქოლ-ჩოჩქოლით ვაქიკოს რაღაცას ეკითხებოდნენ. ჩოხის კალთებს უქაჩავდნენ, მესტებზე თითებს უშვერდნენ. ბოლოს ენაზე ანიშნეს — გადაყლაპეო? და ახარხარდნენ.

— ეს ჩოხაა, არ გეგონოთ გოგოს კაბა!

— ეს მესტებია, განა ბაბაჯანას ქოშებია!

— ენაც პირში მაქვს, განა გადამიყლაპავს! — ყვირის ვაქიკო და ტირის. დედა აღვიძებს და ეკითხება:

— რა იყო, შვილო, ცუდი სიზმარი ნახე?!

არაფერს ამბობს ვაქიკო, მხოლოდ გულზე ეხუტება დედას. დედას კი პირსაბანთან მიჰყავს, ონკანს აბრუნებს, შხუილ-შხუილით გამორბის წყალი.

— წყალო, წყალო, წაიღე ვაქიკოს ცუდი სიზმარი! — ამბობს დედა სიცილით და ვაქიკოს პირს ბანს.

ჩამოჰბანა წყალმა ვაქიკოს ცრემლები და სიცილი მოჰგვარა.

იცინის, იცინის, ფანჯარაში მზეც იცინის.

— სად მივდივართ? გამოფენაზე?

— ბებიკოს სოფელიც იქნება გამოფენილი? — ეკითხებოდა ვაქიკო დედას გზადაგზა. კიდევ ბევრი რამ ჰკითხა. ამასობაში ვეება ალაყაფის კარი გამოჩნდა. — აი, ესეც ქართული პავილიონი! — სთქვა დედამ.

აუ, რამდენი ხილი ნახა ვაქიკომ, რა ნაირ-ნაირი. რამხელა ხახვი! რამხელა კვახი! რამხელა სიმინდის ტარო! მაგრამ უცებ ყველაფერი დაავიწყდა: ცადატყორცნილი შადრევანი ათასფერ მარგალიტებად იფანტებოდა ირგვლივ.

— წყალი, უჰ, რა ლამაზი წყალი! — შესძახა ვაქიკომ.

— შვილო, ეს მეგობრობის შადრევანია!

— მეგობრობის? შადრევანი? — ჩაეკითხა ვაქიკო.

— აი, შვილო, ძიები და დეიდები: ყვითლები, შავები, თეთრები, ჩვენი მეგობრებია. ყველა ერის, ყველა ფერის ხალხია ჩამოსული გამოფენაზე.

და ვაქიკო უცებ შიშმა აიტანა, სიზმარი მოაგონდა.

— რა მოგივდა, შვილო, გამიშვი კალთაზე ხელი! — უთხრა დედამ, მაგრამ ვაქიკომ უფრო ძლიერ ჩასჭიდა ხელი დედის კალთას: ძიები, დეიდები, ბავშვებიც, მართლაც, მისკენ ეშურებოდნენ. შეხედა ვაქიკომ იმათ, შეხედა და სულაც არ შეეშინდა. ღიმილით მოდიოდნენ ისინი ვაქიკოსაკენ, ჩოხაზე ხელებს უსვამდნენ, პაწია ქამარ-ხანჯალზედაც, თან ალერსიანად ეკითხებოდნენ:

— ქართველი ხარ?!

და ვაქიკომ გაიგო.

— ქართველი ვარ! — მიუგო თავის დაქნევით და ყველას გაუღიმა, ყველას ხელი გაუწოდა.

— ცეკვა იცი? — ჰკითხეს ხელების გაშლით.

ისევ გაიგო ვაქიკომ.

— ვიცი! — მიუგო თავის დაქნევით, ხელებიც გაშალა.

და უცებ...

სად იყო და სად არა მუსიკის ხმა გაისმა: „ქართულს“ უკრავდა მაგნიტოფონი.

და გაფრინდა ვაქიკო შევარდენივით, ჩოხის კალთების ფრიალით, პატარა ფეხების სრიალით...

და იფეთქა ტაშმა ირგვლივ. დაიძახეს: ვაშა, ვაშა!

და ტრიალებდა თითებზე ვაქიკო, სწრაფად, უფრო სწრაფად და უხაროდა, უხაროდა, რომ:

ყველას,

ყველას,

ყველას ესმოდა მისი „ქართული“.

---

მელიმე ბავშვს იშვილებენ და მის შესანახად თვიურად 25 რუპს იხდიან. ბავშვებს აქ ასწავლიან შრომას, დიასახლისობას.

ჯერ მხოლოდ 8 წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ინდოელმა ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ შეუძლებელია მნახველი სიხარულით არ აღელვოს მათ მიღწევებმა.

აფუსფუსებულ სკას მოგაგონებთ ახლა ეს ქვეყანა... მას მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა სჭირდება იმ დიდი შემოქმედებითი შრომისათვის, რომელშიც მისი პატიოსანი, შრომისმოყვარე ხალხია ჩაბმული; მხოლოდ მშვიდობის პირობებში გაიმარჯვებენ ჩემი მეგობარი ინდოელი ქალებიც თავის დიდ წინაპართან — ნურ ჯაჰანთან შეჯიბრში.

მხოლოდ მშვიდობის პირობებში დაიზრდებიან და იბედნიერებენ მათი შვილები...

მხოლოდ მშვიდობის პირობებში გაიფურჩქნება კვლავ ინდოეთის კულტურის დიდი გაზაფხული...

ბევრი სახსოვარი გამომყვა ინდოეთიდან, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ჩემი მეგობარი ქალების ფოტოსურათებია:

ეს ლაქშმი მენონია; მაღალი შუბლი, შუაზე გაყოფილი თმა, შავი სხივიანი თვალები, მოსულ ტანზე თეთრი, სადა სარი შემოუხვევია...

მომხიბლავად რომ იღიმება, ვიოლეტა ალვაა, ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. იგი ნერუსთან ერთად იყო ჩვენთან, საქართველოში და ჩვენი დიდი მეგობარია.

ეს რიტა პარნანანდია, პარლამენტის დეპუტატი, საშუალოზე მომცრო ტანისა, მოძრავი, სიცოცხლით სავსე. ესეც ყოფილა საბჭოთა კავშირში, კარგად იცნობს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, რსფსრ კულტურის მინისტრს ტ. მ. ზუევას და დელეგაციის წევრს ლ. ი. პეტროვას — საბჭოთა ქალების კომიტეტის მდივანს.



ინდოეთის გზაზე

სახეები ცოცხლდებიან, ირხევიან... მესმის სარის ნაზი შრიალი და ჩემ მეგობრებთან ერთად ისევ ინდოეთის დარბაზებში, ციხე-კოშკებში, ტაძრებსა და გამოქვაბულებში შევდივარ.

სამშობლოში დაბრუნებულს გზისკენ დამრჩენდა ყურება. ველოდები, მოუთმენლად ველოდები ჩემს ძვირფას მეგობრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იმ სახსოვარ დღეებში

მ. ნინოშვილი

მიჭრიალებს ურემი ორღობეში. თავჩაკიდული ზის კოფოზე მოხუცი მეურმე და ფიქრს მისცემია.

— ბაბუა პავლეს გაუმარჯოს! — გაიწკრიალა ხმამ და თითქოს მიწიდან ამოძვრაო — ურემს წინ დაუდგა 12-13 წლის დიდთვალა გოგონა.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს, შვილო! აა, შენა ხარ, თვალმახარია? — მოხუცის დაღვრემილი სახე ღიმილმა გაანათა, — საით გივლია? რა გინახავს? მითხარი თუ იცი, თამრიკო, კიდევ დიდხანს იბოგინებს ტახტზე სულკატიანი ნიკოლოზე?

სახე აუვარდისფერდა გოგონას, დამფრთხალმა მიმოიხედა — ხომ არავინ გვითვალთვალებსო, და საიდუმლოდ, თითქმის ჩურჩულით თქვა:

— ნიკოლოზეს დღეები დათვლილია, მალე დაემხობა მისი ტახტიო, — ასე ამბობენ, ბაბუა პავლე.

— ისე დაიმხო და დაიქცა ის უსჯულო, როგორც ჩემი ოჯახი დაამხო და დააქცია, — ამოიგმინა მოხუცმა და ხარებს სახრე გადაუქნია.

ისევ აჭრიალდა ურემი, ისევ სადარდებელს მისცა თავი მოხუცმა.

...დგას ორღობეში დაფიქრებული გოგონა, თვალს აყოლებს მოხუცის მოცახცახე მხრებს და გული ეწურება მისი საცოდაობით.

დედის ნათქვამიდან იცოდა:

ერთადერთი შვილი ციმბირში ჩაულპეს მოხუცს — „ახალთაობის კაცობა"* შესწამეს. დედა მის ჯავრს გადაყვა და დარჩა საცოდავი ასე მომსპარი და გადასულიო.

დგას ორღობეში თამრიკო და იგონებს მისი ერთი ციდა სიცოცხლის ყველაზე სამახსოვრო დღეებს...

აგერ ცეროდენა გოგონა დედის კალთას ჩაფრენია და ჭრელი ჩითის კაბით სკოლისაკენ მიბაკუნობს. დიდ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, პატარა გული ჩიტივით უფართხალებს — რას ეტყვის მასწავლებელი, რას ნახავს და რას ისწავლის, როგორ გაძლებს უდედოდ...

...თანდათან გაქრა პირველი დღეების გაოგნება. თამარ მელიქაძე ნელ-ნელა შეეჩვია სკოლას, ამხანაგებს, შეიყვარა მასწავლებელი, დედასავით სათნო და ალერსიანი.

...მოულოდნელი რამ მოხდა ერთ დღეს პატარა თამარის ცხოვრებაში: უფროსი კლასელი ბიჭუნა წაეჩხუბა და გაბრაზებით მიახალა:

—ახლო არ მომეკარო, შენ ახალთაობის კაცის შვილო!

ქვეყანა დაიქცაო — ასე ეგონა პატარა თამრიკოს. გული ამოისკვნა. არც მასწავლებლის დაყვავებამ უშველა, არც ამხანაგების ბავშვურმა თანაგრძნობამ. შინ თვალებდასიებული დაბრუნდა. დედა ჯერ შეშინდა, მიზეზი რომ გაიგო, გაიცინა და უთხრა:

— ახალთაობის კაცის შვილობა სათაკილო და საძრახისი არ არის, შვილო!

... და უამბობდა უფრო გვიან დედა, თვითონაც ღარიბი და გაჭირვებული, რატომ ცხოვრობდნენ სიღარიბესა და გაჭირვებაში მისი მეზობლები, კეთილი და პატიოსანი მშრომელები, რატომ დადიოდა მამა — მეწაღის შეგირდი და მოჯამაგირე — ნიადაგ შუბლშეკრული და დაფიქრებული, ვინ იყვნენ ახალთაობის კაცები...

— და, თვითმპყრობელობის რეჟიმით გატანჯული გურული გლეხკაცობა, — ჰყვებოდა დედა, — შეება კაზაკებს ნასაკირალზე. საკირე ადუღდა მაშინ გურიაში: დათარეშობდნენ სოფლიდან სოფელში მეფის დამსჯელი რაზმები, რამდენ ოჯახს გაუჩინეს ცეცხლი და გენია! რამდენი მოხუცი და ახალგაზრდა გაუყენეს ციმბირის გზას!..

წლებს წლები ემატება. იზრდება გოგონა. თანდათან ხვდება, ვის მხარეზეა სიმართლე, და როცა სკოლიდან დაბრუნებული დედის ნასწავლ მარსელიოზას წაიმღერებს, თავი იმ დიდი ბრძოლების მონაწილედ წარმოუდგენია, მეფის ტახტის დასამხობად რომ გაჩაღებულა მთელს რუსეთში.

და აი, ჩამოაგდეს ტახტიდან მეფე... ზეიმობს ხალხი, იმართება მიტინგები, დემონსტრაციები, ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან ნაცნობ-უცნობები. ხიდისთავში, ყველასაგან პატივცემულმა დედამ, რომლის შვილები ნიადაგ ციხის საკნებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ან ციმბირში გადაკარგულნი, მხრებზე მოისხა წითელი მოსასხამი თეთრი წარწერით: „მრავალტანჯულსა ბარბალეს ეღირსა თავისუფლება!".

ნაადრევი აღმოჩნდა ეს სიხარული... ბევრი არაფერი შეცვლილა საქართველოში, მენშევიკებმა თითქმის ხელუხლებელი დატოვეს ყველაფერი, და ისევ გრძელდებოდა გოდება და დრტვინვა მშრომელი ხალხისა, იზრდებოდა უკმაყოფილება...

ოზურგეთის უმაღლეს პირველდაწყებითს სასწავლებელში, სადაც იმ ხანებში თამარ მელიქაძე სწავლობდა, ჩამოყალიბდა მოსწავლეთა ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო მარქსისტული იდეების პროპაგანდა მოსწავლე ახალგაზრდობაში. თ. მელიქაძე ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი გახდა. მაგრამ მალე ორგანიზაციის შიგნით თავი იჩინა უთანხმოებამ. დროებითი მთავრობა თუ საბჭოები — აი, ამ უთანხმოების საგანი. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები — კ. ჩხარტიშვილი, ივ. ვაშაყმაძე, თამარ მელიქაძე, ბ. პატარაია, ვ. სალუქვაძე და სხვები ცალკე ჯგუფად გამოიყვნენ. ეს ჯგუფი გახდა ძირითადი ბირთვი უფრო გვიან სკოლაში არალეგალურად ჩამოყალიბებული „სპარტაკის" უჯრედისა. დანარჩენებმა შექმნეს „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაცია.

მომავალი სპარტაკელები თანდათან აფართოებენ თავიანთ იდეურ გავლენას მოსწავლე ახალგაზრდობაზე. ისინი მართავენ დისპუტებს, ესწრებიან კრებებსა და მიტინგებს, აღფრთოვანებით ხვდებიან ბოლშევიკი ორატორების გამოსვლებს, მხარს უჭერენ და ოვაციას უმართავენ მათ. თამარ მელიქაძე მათ შორის ყოველთვის ერთი პირველთაგანია.

— 1918 წლის თებერვალში, — იგონებს თამარი, — მენშევიკურმა მესვეურებმა მიტინგი მოაწყვეს ოზურგეთში. მიტინგზე ბოლშევიკი ვ. აბაშიძეც უნდა გამოსულიყო. ახალგაზრდები მას ვიცნობდით როგორც მგზნებარე რევოლუციონერს. მიტინგს ესწრებოდა ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი. როცა ვ. აბაშიძემ ლაპარაკი დაიწყო და ასაბუთებda ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის აუცილებლობას, ჩვენ ტაშის ცემა ავტეხეთ, ბევრი შემოგვიერთდა. მენშევიკები შეეცა-

* ახალთაობის კაცებს გურიაში ეძახდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლებს.

დნენ ტრიბუნიდან ჩამოეგდოთ აბაშიძე, მაგრამ დიდხანს ვერაფერი გააწყვეს. გამეტებით ვუკრავდით ტაშს. ამ დროს ჩვენთან მოვიდა ჩვენი სკოლის გალობის მასწავლებელი ი. უშვერიძე და დაგვიწყო მუდარა — წადით აქედან, დაიმალენით, თორემ დაგიჭერენო. ფეხი ვერ მოგვაცვლევინა, აღარც ის მოგვშორებია მიტინგის დაშლამდე.

მენშევიკებმა მალე სულ ჩამოიხადეს ნიღაბი, გაყიდეს ქართველი ხალხის ინტერესები, ბოლშევიკების შიშით ფართოდ გაუღეს კარი ყველა გარეწარს — საქართველოში დათარეშობდნენ ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი ჯარისკაცები. იმ ხანებში ოზურგეთის მშრომელებს თავს დაატყდა კიდევ ერთი დიდი უბედურება — თურქთა ჯარი შემოესია, დაარბია და დაიტაცა მოსახლეობის ქონება.

თანდათან იზრდება ხალხში ავტორიტეტი ბოლშევიკებისა. სპარტაკელთა პატარა უჯრედი, 1919 წლის დამდეგს სკოლაში რომ შეიქმნა, დიდ საქმეს აკეთებს. მისი წევრები აწყობენ ლექციებს მოსწავლეებისათვის, ავრცელებენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს. თამარ მელიქაძე, ერთი პირველთაგანი სპარტაკელი ქალი მაშინდელი ოზურგეთის მაზრაში, ყოველთვის ოსტატურად და შეუმჩნევლად ფანტავს ქუჩებში ამ ცეცხლოვან ფურცლებს, მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას რომ ამხილებენ და მშრომელებს სიმართლეს რომ მოუთხრობენ ბოლშევიკებზე.

პირველდაწყებითი სკოლის შემდეგ გიმნაზია... სპარტაკელთა ორგანიზაცია აქ გაცილებით მძლავრია. მის რიგებშია კ. გორდელაძე, ვ. გოგუაშვილი, დ. დოლიძე, ლ. სალუქვაძე და სხვები, გათვითცნობიერებული და თეორიულად მომზადებული ახალგაზრდები. გიმნაზიაში მოწინააღმდეგენიც უფრო ძლიერი არიან. თანდათან ფართოვდება და რთულდება მუშაობა. სპარტაკელთა ერთერთი ძირითადი ამოცანა მარქსისტული თეორიის შესწავლაა. ახალგაზრდობის საქმიანობას უძღვებიან და წარმართავენ ბოლშევიკთა უფროსი თაობის წარმომადგენლები — მარო ლომინაძე, დ. სიმეულიძე და სხვები.

დიდი შინაარსით არის აღსავსე თამარ მელიქაძის თვითეული დღე. დღეს რომ პროკლამაციებს ავრცელებს, ხვალ ლიტერატურულ გასამართლებასა და დილებში მონაწილეობს, ზეგ პოლიტიკური ლიტერატურა მიაქვს მოსწავლეებთან, სააგიტაციო მუშაობას ეწევა მოსახლეობაში მენშევიკების მიერ ბოლშევიკების მიმართ გავრცელებული ბოროტი ჭორის გასაფანტავად, რომ თითქოს ისინი კაცისჭამიები იყვნენ.

— ორგანიზაციის კრებებს უმთავრესად გაკვეთილების შემდეგ ვმართავდით სკოლაში, — გვიამბობს თ. მელიქაძე, — ყოველთვის თან გვქონდა სახელმძღვანელოები. მოსალოდნელი საფრთხის დროს საკლასო ოთახებში დავიფანტებოდით და თითქოს სწავლაში ჩამორჩენილები დავიწყებდით მეცადინეობას. კრების დროს ყოველთვის თავის კაბინეტში იყო გიმნაზიის დირექტორი მარო ლომინაძე, მასთან იყვნენ სანდო მასწავლებლები, საეჭვო შემთხვევაში დირექტორი საკლასო ოთახებში გზავნიდა მათ, დამატებით გაკვეთილებს გვიტარებდნენ „ჩამორჩენილ" მოსწავლეებს.

1919 წელია. გურიის მშრომელები ირაზმებიან მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციური გამოსვლისათვის. მზადდება აჯანყება. ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით აჯანყებისათვის ემზადება გურიის კომკავშირიც. იქმნება კომკავშირელთა შეიარაღებული რაზმები. ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შორის განაწილებულია დავალება — კ. ჩხარტიშვილი ჯუმათსა და სილაურში იგზავნება იქაური ახალგაზრდობის გამოსაყვანად, კ. გორდელაძე — მაკვანეთსა და შემოქმედში. ერთ ჯგუფს, მათ შორის თამარ მელიქაძეს, დავალებული აქვს ოზურგეთის ცენტრის ახალგაზრდობის გამოყვანა. მაგრამ ეს გაბედული ნაბიჯი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი წყალდიდობის გამო. მენშევიკებისათვის ცნობილი გახდა ეს ფაქტი. დაიწყო რეპრესიები, დააპატიმრეს როგორც პარტიული ისე კომკავშირული ხელმძღვანელები, მათ შორის ბ. ძნელაძე და კ. ჩხარტიშვილი.

მენშევიკების ბატონობის დღეები დათვლილია.

...ბათუმის ნავსადგურიდან გემი გადიოდა, ევროპისაკენ მიჰყავდა უდღეური მენშევიკური მთავრობის უბადრუკი ხელმძღვანელები, სამიწლინახევრის მანძილზე რომ ვაჭრობდნენ ქართველი ხალხის ბედით.

ნამდვილი პატრონი გაჩენოდა საქართველოს!

თამარ მელიქაძე და მისი მეგობრები წითელ დროშებს აფრიალებდნენ ოზურგეთის ქუჩებში, ზეიმობდნენ გამარჯვებას, მისი მოპოვებისათვის ასე მამაცურად რომ იბრძოდნენ ხალხის შვილები.



წყაროსთან. ფოტოეტიუდი შ. გოქაძის.

ნინო ძიძიგულაშვილი

## წყაროსთან

წყარო ცივ-ცივ წინწკლებს აფრქვევს—
ზღაპარს ჰყვება გატაცებით,
ჩამომსხდარან ბორცვზე, იქვე
ჩვენი სოფლის პატარძლები.

ფერად-ფერად დაქარგული
უფრიალებთ თავსაფრები,
წარბები აქვთ დაკალმული,
მერცხლებივით გასაფრენნი.

შეგროვილან კაკბებივით,
ბაგეს ვარდის ფიფქი სცვივა,
კოკებს ხმა აქვთ გაკმენდილი
წყაროს პირთან მიწოლილან.

კოკა ნეტავ ვისღა ახსოვს,
მღერის წყარო, მღერის ღარი,
სახლში, ალბათ, დედა ბრაზობს—
გზაზე არ სჩანს კოკით ქალი.

შეგროვილან კაკბებივით,
რა გაუძლებს თვალთა ისრებს,
კოკებს ხმა აქვთ გაკმენდილი
ცარიელი დგანან ისევ.

ბინდი ეკვრის გაღმა სერებს,
ქედებს მწვანე ფარჩებიანს,
ლაპარაკში ვერ ამჩნევენ,
ცას ვარსკვლავი გასჩენია.

მეც ამ წყაროს წყალი მისვამს,
დამრჩენია კოკა განზე,
კოკა რაა? ბრალი მისი,
ვისაც გული არ აქვს სავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უბრუნდებიან ბუდეებს

ეთერ სახვაძე

გვიან იღვიძებენ ეს მთები. მაისის დამლევს მტკვარს რომ წვერის მთიდან გამოჰყვეთ, გზადაგზა იხილავთ გაზაფხულის ყველა ასაკს. ხიზაბავრაში რომ ტოტები კვირტებით იჭორფლება, ჭავჭავაძის პროსპექტზე ჭადრები შრიალებენ, თუმც გზა ასპინძიდან თბილისამდე არც ისე შორია.

მერცხლებმა, შეუპოვარმა მერცხლებმა ეს ყველაზე უკეთ იციან, მთასა და ბარში ერთდროულად მოფრინდებიან და ბუდეების კეთებას იწყებენ.

ხიზაბავრაში ერთი სახლია, დერეფნიანი. დერეფანში მუჭისხელა ბუდეა, ბუმბულმოფენილი. ბუმბულში ბარტყები სხედან, თავმძიმენი, ბარტყებთან კუდმაკრატელები მოფრინავენ• ჭიაღუებით დატვირთულნი. გავა დრო. დაიზრდებიან ღლაპები, ფრთებით დამშვენდებიან და სექტემბერში შორეულ გზას გაუდგებიან. დაიზრდებიან, დასრულდებიან თბილ მხარეში, ახალ ნირსა და ზნეს ისწავლიან და, როცა ხელმეორედ გაზაფხულდება, კვლავ მოაშურებენ მშობლიურ მთებს. ჯერ არ მომხდარა იმ დერეფნის მკვიდრნი გაფრენილიყვნენ და აღარ მობრუნებულიყვნენ.

* * *

წარმტაცი გაზაფხული იდგა სკრაში, როცა თინათინ მექოშვილმა კითხვა-კითხვით ნათესავის სახლს მიაკვლია.

— რამხელა გაზრდილხარ, შენი ჭირიმე,— აღტაცებით შესძახა ქეთევანმა ახალმოსულს და გულში ჩაიკრა.

— საწარმოო პრაქტიკაზე ვარ, ბიცოლა და დროებით უნდა შემოგეხიზნოთ. მომიხდება სიარული ატენში, ხიდისთავში, ქვახვრელში, გორში...

— კი, შვილო, კი, ბიცოლა. იმ დღეს მოვესწარ, სტუდენტი მყავხარ, ჩემი სახლი დაგჭირდა და არ შემოგევლები? აგერ დაჯექი, გოგო, ცოტა რამეს მოვიტან, ნამგზავრი ხარ.

ქეთევანი აფუსფუსდა, თან მაგიდას შლიდა, თან ლაპარაკობდა. სათითაოდ მოიკითხა მეზობლები, ნათესავები, მერე ისევ თინას ამბავს დაუბრუნდა.

— თავიდანვე გიყვარდა საქონლის მოვლა, ბიცოლა. ცხვარ-ძროხასთან ხარ შეზრდილი. ცეროდენა იყავი, ის სამგლეები შენზე უხნესები იყვნენ. მენანებოდი მათი მადევარა, მაგრამ ყოჩაღი მწყემსი მყავდი. ხიზაბავრაში მეორე არ იყო შენისთანა ფრთხილი, თუმც ერთხელ, გახსოვს, ჯეჯილები რომ გადაგიძოვა საქონელმა და ბებიამ მიგტყეპა? ძლივს გამოვგლიჯე შენი თავი ცხონებულს.

— ასე იყო,—გაიცინა თინამ,—მე და კატო ქვების სროლაში გავეჯიბრეთ ერთმანეთს და ცხვარ-ძროხა სულ დაგვავიწყდა. მერე კი, რომ ვნახეთ ყანა დაუდევრობით წაგვიხდა, შევშინდით, ტავარჯოხები გადავიკიდეთ და შინისაკენ მოვკურცხლეთ. ბებიამ ადრე მოსული რომ გვნახა, მიხვდა საქმე რაშიც იყო, ჰოდა, იმ დღის შემდეგ ოთხი თვალი და ოთხი ყური გამოვისხით.

— ის თუ გახსოვს, გოგო, ჩემს ქორფა ჭუკს რომ დედა ინდაურმა ბარძაყი ამოუგდო და შენ არტაშანი დააკარი. რამდენს ვიცინოდით...

— ხომ მოგირჩინეთ მაინც.

— ყოჩაღი მყავდი, იმიტომაც წაგიყვანია შენი საქმე კარგად. უმაღლესშიც მოწყობილხარ.

— უმაღლესში მოწყობა ჩემი სიყოჩაღის ამბავი როდია, ბიცოლა. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე და თბილისისაკენ გამოვსწიე, სამედიცინო ინსტიტუტში ვაპირებდი შესვლას. მაშინ არ ვიცოდი, თუ ცხოველსაც შეიძლებოდა ჰყოლოდა ექიმი. ეს ამბავი მატარებელში გავიგე. გუნება მეცვალა, უენო პირუტყვის მორჩენა უფრო ძნელი საქმე იქნება-მეთქი, ვიფიქრე და საბუთები ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში შევიტანე. თავდაპირველად ჩემი საქმე კარგად წავიდა, მაგრამ ბოლოს ფიზიკაში გამიჭირდა. «დამაკმაყოფილებელს» მიწერდა გამომცდელი, მე კი, რომ მოვხვედრილიყავი, «კარგი» უნდა მიმეღო. მაშინ ცრემლმორეულმა ვუთხარი, ბარემ ჩამჭერით, სულ ერთია ვეღარ მოვხვდები და ისევ ჩემს მთებში მომიხდება დაბრუნება-მეთქი. მთები რომ გახსენე, ერთი დამსწრე დაინტერესდა, რომელ მთებზე ლაპარაკობო, მკითხა. ჯავახეთის მთებზე მეთქი, მივუგე. გაეხარდა, გამომცდელს უთხრა, დამატებითი კითხვები მიეციო. ხელმეორედ დამსვეს, მკითხეს, «კარგი» დამიწერეს და გამომიშვეს. გვიან გავიგე, ის დამსწრე ჩვენი ფაკულტეტის დეკანი ყოფილიყო.

* * *

ერთ საღამოს თინა გორიდან რომ ბრუნდებოდა, ბიცოლა ქეთევანის ეზოში ხალხი შენიშნა, ცუდი არაფერი იყოსო და ნაბიჯს აუჩქარა.

მოსულებს წრე შეეკრათ, შუაგულში ქეთევანის სამი თვის ბურვაკი იწვა, პირუტყვი უცნაურად იქცეოდა: წამოდგებოდა, ბარბაცით მოხაზავდა წრეს და დაეცემოდა. იქვე იყო სოფლის ვეტექიმიც.

— რა დაემართა?—მისვლისთანავე იკითხა თინამ.

— წუწკი იყო, ბიცოლა გენაცვალოს, დღეს ხუთი წიწილა შემიჭამა, გულმოსულმა შეშა ვესროლე, შუბლში მოხვდა და ძვალი გაუტყდა, ჩვენმა ექიმმა თქვა—არაფერი ეშველებაო, დაკვლას ვუპირებ.

— იქნებ მორჩეს...

— არ მორჩებაო...

თინამ განზე გაიხმო ქეთევანი, შეეხვეწა, არ დაკლა, მე მომანდე და ნახავ, მოვარჩენ თუ არაო. მერე წყალი აადუღა, ბურვაკს ჭრილობა გაუსუფთავა და პენიცილინი შეუშხაპუნა. იმ ღამეს ორჯერ გაიღვიძა, დანიშნულ დროზე ისევ უჩხვლიტა ნემსი, მეორე დღეს კი ექთანს ჩააბარა—ჩემს მოსვლამდე პენიცილინი არ მოაკლოო.

გორში რომ ჩავიდა, რაიონის უფროს ვეტექიმს ლეო ბებიაშვილს მოახსენა მომხდარი, ტვინის შერყევა მოსვლიაო,—უთხრა მკურნალმა,—ეცადე იქნებ გამოაბრუნოო, ხელოვნურად კვებე და პენიცილინის კეთება განაგრძე, თუ მეხუთე დღეს ყბა ვერ აამოძრაოს, მაშინ კი დააკვლევინეო.

მეორე ღამეც უთია თინათინმა ბურვაკს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქალები

## საფო მგელაძე

(1894—1936)

„თქვენი „ლიანა“ უბით დამაქვს... მამხნევებს და მეძახის მიუწვდომლის მისაღწევად“... — ჩვეული გულწრფელობით სწერდა ლადო ასათიანი მწერალ ქალს ამ ორი ათეული წლის წინ, სწერდნენ სხვებიც.

მართლაც, უცნაურად გაიხმიანა „ლიანა ლორდიამ“ ჩვენს სინამდვილეში, თავისებური შთაბეჭდილება მოახდინა და მერე გაუჩინარდა... უცნაური იყო მისი ავტორის საფო მგელაძის ბედიც...

მეოცე საუკუნის განთიადი. დიდი სოციალ-პოლიტიკური მოვლენები, ახალი იდეები, ახალი მიზნები, რევოლუცია ლიტერატურასა და ხელოვნებაში...

ქართულ მწერლობაში შემოდიან გალაქტიონი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია... მათ გვერდით საფო მგელაძეც.

ეს იყო დიდი ბედნიერება, და... მუხის ძირას იჩრდილება ნაზი ია. იჩრდილება, ბუმბერაზი ხის დიდებულებით თვალახვეულნი მას ველარ ვამჩნევთ ხშირად... და, მაინც თან ახლავს თვისი სურნელება, სიმშვენიერე... საფოც ერთგვარად ჩრდილში იდგა თავისი შემოქმედებით, კრიტიკამ უყურადღებობა არგუნა წილად — და მაინც ქართველი ქალის გულის სიმღერას არც ფერი გაკრთომია, არც სილამაზე...

ჰანგი მისი ნარნარია, აზრი მღელვარე. რვა წლის გოგონას შეუთხზავს პირველი ლექსი. რვა წლის გოგონას პირველად უგემია პოეზიის ღვთაებრივი ძალა, უწამებია იგი და დარჩენილა ბოლომდე ერთგული... საფოს არც განსაკუთრებული განათლება მიუღია, არც უნივერსიტეტი დაუმთავრებია, არც წინამძღვარი ჰყოლია ვინმე. თორმეტ წლამდე იგი შინ იყო, მშობლებთან, სოფელ ჯურყვეთში. დედა—ქრისტინე გიორგის ასული კანდელაკი, ძველი ქართული მწერლობის კარგი მცოდნე, გადასცემდა ერთადერთ ასულს სიყვარულს ლიტერატურისას. საფოც მღეროდა, მღეროდა გატაცებით, უშუალო და გრძნობით სავსე იყო სიმღერა მისი, და ეს სოფლელი გოგონა 1908 წელს ჟურნალ „საქართველოში“ ბეჭდავს ლექსს „სოფიო გოგონას“ ფსევდონიმით. მაინც უილბლოდ წარიმართა ქალის ცხოვრება. ადრე მორთეს კუდიანი კაბით, ადრე გაათხოვეს. ფიქრები, პოეზიაზე ფიქრები კი არ სტოვებდნენ მას...

და საფოც 1922 წელს გადმოდის დედაქალაქში. აქ იწყება მისი ნამდვილი ცხოვრება, ცხოვრება შემოქმედისა — მიმზიდველი, მძიმე, ნეტარებით აღსავსე. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება საფო მგელაძის ლექსები, პოემები, შემდეგ მოთხრობებიც...

ცხოვრებას, სინამდვილეს ჩაჰკვირვებია პოეტი. მზეს, ვარდებს, ბახმაროს მთებს, სიყვარულს უმღერის საფო:

„დღეს მუშას ვუმღერ, ხვალ ქარხანას, ზეგ სილამაზეს,
მაზეგ სიყვარულს, გაშლილ სივრცეს, სფეროებს ცისას,
გეტყვით ვით დაჰქრის ზღვის ტალღები ცისფერ სილაზე,



გეტყვით, ვით უვლის მთის მწვერვალებს სხივები მზისა“.

—(„პოეტი“).

ქალის ხვედრზე ფიქრი თან სდევდა საფოს... მას არ შეეძლო შერიგებოდა მწარე სინამდვილეს, ქალის უსიხარულო ბედს — კაპიტალისტური წყობით განკუთვნილს, ბედს, რომელიც ასე მძაფრად დახატა მოთხრობა „ქარიშხალის ფრთებში“... საფო დასტიროდა ათასობით მსხვერპლად მიტანილ სიცოცხლეს, შელახულ გრძნობებს, შებილწულ უმანკოებას... უმღერდა თავის ღირსების დასაცავად წამომართულ ქართველ ქალებს, უმღერდა მათ გამარჯვებას, ახალს, მომავალს.

საფო მგელაძე გრძნობის მწერალია, უშუალობითა და განცდათა სიღრმით მომხიბვლელი.

**მ. კვარაცხელია.**

## დომინიკა ერისთავი

(1864—1929)

დომინიკა ერისთავი — განდეგილი XIX საუკუნის 90-იანი წლების თვალსაჩინო წარმომადგენელია, იგი სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენი კორიფეების ილიას, აკაკის, ვაჟას გვერდით. მეგობრობდა ამ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან, სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა ისტორიკოს ალ. ხახანაშვილთან, ი. გოგებაშვილთან, ნ. ნიკოლაძესთან, აკ. წერეთელთან, დიდ სულიერ მეგობრობას უწევდა ქათველი ხალხის საყვარელ პოეტს ვაჟა ფშაველას.

დომინიკა ერისთავი იყო არა მარტო პოეტი, არამედ თავის დროის შესანიშნავი მოღვაწეც — ბელეტრისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი და ჟურნალისტი.

განდეგილი წლების განმავლობაში ეწეოდა სარედაქციო მუშაობას. არა ერთსა და ორ ახალ ფეხადგმულ ჟურნალს ხელმძღვანელობდა, და იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც ცარიზმი სდევნიდა ყოველგვარ ეროვნულსა და ქართულს, დომინიკა ერისთავი თავგამოდებით იბრძოდა ჩვენი ეროვნული კულტურის შენარჩუნებისათვის.

ვისაც კი გადაუხედავს ამ წლების პერიოდიკისათვის, იგი სავსებით დარწმუნდება განდეგილის ნაყოფიერ მუშაობაში. ამ დროის ჟურნალ-გაზეთები სავსეა ნიჭიერად დაწერილი მისი სტატიებით, პოლემიკური წერილებით, ფელეტონებით, ნარკვევებით.



განდეგილი საზოგადოებრივ ასპარეზზე ქართველი ქალის უფლებების დაცვით გამოვიდა. „სახალხო ფურცელში“ იგი სწერდა: „დედაკაცი საფუძველია ბედნიერების, იგი ბურჯია ოჯახის, საზოგადოების, ერისა... რამდენად მთლიანი, თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად სალია აზროვნება“.

1914-1915 წლებში იგი აარსებს „ქართველ ქალთა საზოგადოებას“, ხელს უწყობს ქალთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. ხელმძღვანელობს საპოლემიკო-სალიტერატურო გაზეთ „ნობათს“. ცდილობს ამ გაზეთის გარშემო კომპეტენტური პიროვნებები შემოიკრიბოს.

განდეგილმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარების საქმეში.

სამშობლოს სიყვარული, თავისი ქვეყნის ერთგული სამსახური — აი, ის დიდი საგანი, რომელსაც მუდამ უალერსებს და თავს ევლება პოეტი ქალი:

„—ჰა, შენთვის გული
ტახტად დადგმული —
შენ სატრფიალოდ აძგერებული,
ჰა, შენთვის სული
მრავალტანჯული
და თვალნიც შენთვის აცრემლებული“.

განდეგილი კარგად იცნობდა ცხოვრებას, ჰქონდა შესანიშნავი მხატვრული თვალი, ბელეტრისტიკაში იგი ილია ჭავჭავაძის რეალისტურ გზას გაჰყვა. თავის შინაარსიან მოთხრობებში ხატავდა ჩვენი ხალხის მწარე სინამდვილეს. დომინიკა ერისთავი ცნობილია როგორც კარგი მთარგმნელი. თარგმნიდა ტოლსტოის, ტურგენევს, გორკის. 1902 წელს, როცა განდეგილმა ქართველ საზოგადოებას გრიბოედოვის კომედიის — „ვაი ჭკუისაგან“ — ქართული თარგმანი წარუდგინა, ილია ჭავჭავაძემ იკისრა მისი რედაქტორობა.

განდეგილი ფართოდ ეხმაურებოდა თავისი დროის მოწინავე იდეებს, სწორედ ამაშია მისი პროგრესულობა, მისი დამსახურება.

**ნინო ჩიხლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარია ახვლედიანი

(1873-1941)



რუსთაველის გამზირისა და სამხედრო ქუჩის გასაყართან შევჩერდი.

„ნეტავ ვიცოდე ვინ მოიგონებს,
ანდა თუ ვინმეს ემახსოვრება,
არ ვიცი მაინც ვის დაალონებს
ჩემი განვლილი მწარე ცხოვრება“...

მესმის ნაზი, ნიავის შრიალივით ნაზი ხმა. არა, ეს ჩემი ფიქრები იმეორებენ პოეტი ქალის — დარია ახვლედიანის სიტყვებს,,.

გამვლელ-გამომვლელს ხშირად უნახავს ამ სახლის სარკმელთან ჩაფიქრებული მაღალი, სანდომიანი სახის ქალი და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დარია ახლაც აქ, ჩემს გვერდით დგას და ერთად გავცქერით მის მიერ განვლილ გზას სოფელ ჭაგანიდან თბილისამდე. 1873 წლის 25 მაისიდან — 1941 წლის 7 სექტემბრამდე.

ჭაგანი! — იმერულად ფერმრავალი დღეებით და მთვარიანი ღამეებით... დარიას მამის, წვრილი მემამულისა და წვრილშვილის პატრონის გიორგი ქაჯაიას ეზო. აქ აიდგა გოგონამ ენა და ფეხი, აქვე დაებადა სურვილი, რომლის შესახებ მოგვიანებით წერდა:

„მიუწვდომელის მიწვდომა მსურდა და ამოცნობა ამოუცნობის“.

...დაობლებული 14-15 წლის გოგონა ნათლიას მიჰყავს ქუთაისში. 17 წლისა იგი უკვე საქორწინო გვირგვინს იდგამს თავზე და ფოთში მიემგზავრება.

...1905 წლის რევოლუციის წინადღე. დარიას თავისი პატარა ვაჟით თბილისში მალაკანის ქუჩაზე, ერთ პატარა ოთახში ვხედავთ. იგი აქ უახლოვდება მუშებს, რევოლუციონერებს და რკინიგზელთა ერთერთ დემონსტრაციას დროშით ხელშიც კი მიუძღვის წინ.

დარიას წერა-კითხვა დედამ—მწერალ სიმონ გუგუნავას დამ ასწავლა, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული — კეთილშობილმა გულმა, ლექსების წერა — მომადლებულმა ნიჭმა.

იგი არ შემოსულა გენერლობის პრეტენზიებით ქართველი ერის სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. არც ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ფუძემდებლობა უკისრია.

„მე მუდამ ჩემთვის ჩუმად და მარტო
ვითვლი ჩემი დღის საათებს, წამებს...
მინდა ციური ჩანგი მოვმართო,
ვუმღერო ქვეყნად ყველა ნაწამებს“.—

აცხადებდა ქალი.

და მართლაც, პოეტის გულის რომელ სიმსაც არ უნდა შევეხოთ, რომლებსაც უხვად გაბმულს ვხედავთ ლექსების პაწაწინა წიგნისა, ჟურნალ-გაზეთებისა თუ გაყვითლებული რვეულების ფურცლებზე, წრფელ, გულისხმიერ ჰანგს გამოსცემენ ადამიანების სიყვარულისას. მისი პირველი ლექსი 1901 წელს „კვალში“ დაისტამბა და ლექსების პირველი და ერთად-ერთი კრებული „სევდის ჰანგების“ სახელწოდებით — 1912 წელს. დარია მონაწილეობდა სახალხო წარმოდგენების გამართვაში, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ დაარსებასა და საქმიანობაში. ქართველ ღარიბ ქალთათვის ასოთამწყობთა კურსების შექმნაში. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, რედაქტორობდა ქალთა ჟურნალ „გუშაგს“...

დარია სიხარულით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში, და იმ დღიდან უმღერდა ჩვენი ხალხის ნათელ მიზნებსა და მიღწევებს. ბოლო დროს დარია მძიმედ ავადმყოფობდა, ხოლო ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ ჩვენს ქვეყანაზე, უეჭველად შეუმოკლა სიცოცხლის დღენი და ახლა, როდესაც იგი თითქოს სამარიდან გვესაუბრება:

„ჩემ სათუთ სხეულს დღეს მიწა ფარავს,
ისევ კუბოში ვარ ჩაკეტილი,
ცილაცა მოდის მიშენებს კარავს,
ალბათ იქნება ვინმე კეთილი“-ო — არ შეიძლება არ შეგიპყროთ სურვილმა იყოთ ის კეთილი, ვინც დარია ახვლედიანის მოღვაწეობას საფუძვლიანად შეისწავლიდა და ამ ღირსეულ ქართველ ქალს მის შესაფერ კარავს აუშენებდა.

**მ. ნავარაძიელი.**

# კატო მიქელაძე

(1877-1943)

ვისაც კი კატო მიქელაძე ზამთრის პერიოდში უნახავს, არასოდეს დაავიწყდება მისი გრძელი, ტყავგამოკრული ტულუპი, თბილყურებიანი ქუდი, ოქროსთავიანი ჯოხი და მისი მტკიცე სიარული, არ დაავიწყდება მისი კეთილი, ჭკვიანი თვალები.

საშუალო განათლება კატო მიქელაძემ ქუთაისში მიიღო. ხოლო 1899 წელს თბილისში გადმოვიდა, სამეანო კურსებზე შევიდა, წარმატებითაც დაამთავრა. მალე იგი მოეწყო ცხინვალში, სადაც აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა, აქვე დაიწყო ლექსების წერა.

კ. მიქელაძის ლექსების თემა მრავალფეროვანია: სიყვარული სამშობლოსადმი, მეგობრობისადმი, განსაკუთრებით ადამიანის თავისუფლებისადმი. ლექსების ფორმა ხალხურია, განცდა გულწრფელი.

უმაღლესი ცოდნის მისაღებად კ. მიქელაძე 1903 წელს მოსკოვს გაემგზავრა, შემდეგ შვეიცარიაში, სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტის სოციოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1914 წელს, კ. მიქელაძემ ბევრი იმოგზაურა საზღვარგარეთ, ცხოვრობდა პარიზშიც.



საქართველოში დაბრუნდა როგორც მტკიცე მიმდევარი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში წარმოშობილი ე. წ. ბურჟუაზიული-სუფრაჟისტული მოძრაობისა. ამ მოძრაობის გადმონერგვა მას საქართველოშიც სურდა, მაგრამ ამისათვის ნიადაგი არ აღმოჩნდა...

კ. მიქელაძემ მთელი თავისი ნიჭი და უნარი გადაიტანა ჟურნალისტიკაში და დაიწყო გაალმასებული ბრძოლა ყველა მათ წინააღმდეგ, ვისაც კი მხატვრულ ნაწარმოებში ქალი გამოჰყავდა მამაკაცის გასართობი და არა როგორც მეგობარი, როგორც უფლებამოსილი წევრი საზოგადოებისა.

კ. მიქელაძე დიდხანს მუშაობდა „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც მისთვის ყველაზე საყვარელ ნაწარმოებზე, მაგრამ ნაშრომი დაუბეჭდავი დარჩა. ამას გარდა დარჩა საინტერესო მოგონებანი თავისი ცხოვრებისა და იმ პერიოდის შესახებ, რომელსაც კარგად იცნობდა, აგრეთვე ბევრი ლექსია მიმობნეული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

კ. მიქელაძე გარდაიცვალა 1943 წლის 1 იანვარს. მის ცხედარს მიაცილებდნენ რამდენიმე მწერალი ქალი და რამდენიმე პირადი მეგობარი. კატოს დასაფლავების დღე ისეთივე ქარბუქიანი იყო, როგორიც მისი ბუნება.

**ანა ლვინიაშვილი.**

**ამასწინათ, საქართველოს მწერალთა კავშირმა და ლიტერატურის მუზეუმმა მოაწყვეს ცნობილი ქართველი მწერალი ქალების — დომინიკა ერისთავის (განდეგილი), საფო მგელაძის, კატო მიქელაძისა და დარია ახვლედიანის ხსოვნის საღამო.**

# უცხოური იუმორი

ორმა კაცმა ერთმანეთი ტრამვაიში გაიცნო. ჩქარა მათ შორის გულითადი საუბარი გაიმართა.

— ხომ არ მიდიხართ დღეს მილბერის ლექციაზე?

— დიახ, — უპასუხა მეორემ.

— არ გირჩევთ წასვლას. გავიგე, ცუდი მოლაპარაკე ყოფილა.

— მაინც უნდა წავიდე, — სთქვა მეორემ, — რადგან მე თვითონ ვარ მილბერი.

* * *

გერმანელ მწერალს ლესინგს მოხუცებულობაში გულმავიწყობა დასჩემდა.

ერთ საღამოს, როცა შინ დაბრუნდა და ზარი დარეკა, მოსამსახურემ ფანჯრიდან გამოჰყო თავი. სიბნელეში ვერ იცნო თავისი ბატონი, უცხოდ მიიღო და ფანჯრიდანვე გადასძახა: „პროფესორი შინ არ გახლავთ, ბატონო“.

— კეთილი, — სთქვა ლესინგმა, — მერე შემოვივლი.

* * *

ერთი გულმავიწყი პროფესორი ანატომიაში ლექციას კითხულობდა. — ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად მე გაჩვენებთ გაკვეთილ ბაყაყს. გთხოვთ გულდასმითა და ყურადღებით გასინჯოთ იგი.

პროფესორმა შეხვეული გახსნა და დაინახა, რომ შიგ მოხარშული კვერცხი და ორი სანდვიჩი იდო. განცვიფრებულმა პროფესორმა სთქვა:

— მახსოვს, თითქოს საუზმე შევჭამე, მაგრამ ბაყაყი რაღა იქნა?

* * *

ცნობილმა ეკონომისტმა ლექტორმა თავის ლექციაზე აღნიშნა, რომ მსოფლიოს ზოგიერთ კუთხეში მამაკაცთა რიცხვი გაცილებით სჭარბობს ქალთა რიცხვსო და ხუმრობით დასძინა:

— ამიტომ ვურჩევ ქალებს იმ ქვეყანაში წავიდნენ.

ახალგაზრდა ლედიმ, რომელიც უკანა რიგებში იჯდა, ლექტორის სიტყვები შეურაცხყოფად მიიღო, ხმაურით ადგა და გაბრაზებულმა დასტოვა დარბაზი. ლექტორმა კი შენიშნა:

— მე სულაც არ მითქვამს, რომ იქ წასვლა ასე საჩქარო იყოს.

ინგლისურიდან თარგმნა შუქია აფრიდონიძემ.

* * *

ერთი ახალგაზრდა შოტლანდიელი ჯარისკაცი თავისი დანიშნულით პასტორთან მივიდა ჯვარის დასაწერად. როდესაც პასტორმა ცერემონია მოათავა, ახალდაქორწინებულნი, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთისათვის ეკოცნათ, მორცხვად იდგნენ.

„შეგიძლიათ მიესალმოთ თქვენს პატარძალს, — სცადა წათამამება პასტორმა, — ცერემონია დამთავრებულია“

ჯარისკაცი, რომელმაც თავისებურად გაიგო პასტორის სიტყვები, ქალისკენ მიბრუნდა, გაიჭიმა... და სამხედრო სალამი მისცა. ამ მოულოდნელობისგან პატარძალი ისე დაიბნა, რომ ვერაფერი მოახერხა და სამხედრო სალმითვე უპასუხა.

• • •

„ამ საღამოს სტუმარი მომყავს სახლში“, — დაურეკა ქმარმა ცოლს.

„ნეტავ რა ნერვები გაქვს, ცივად გაიცინა ცოლმა, მოსამსახურე წასულია, ბავშვები ავად არიან, სახლი დაულაგებელია, მე გაცივებული ვარ, მეხორცის ვალი ჯერაც არ გაგვისტუმრებია, და შენ კი სტუმარი მოგყავს შინ“.

„ძალიან კარგი, — მიუგო ქმარმა, — მაინც უნდა მოვიყვანო. ამ ბრიყვს ცოლის შერთვა სურს და მინდა დავარწმუნო თავის სისულელეში“.

/გერმანულიდან თარგმნა გ. ჯაგაშვილმა.

* * *

ერთ კაცს მეგობარი ეწვია. დიდხანს ილაპარაკეს...

— შემიძლია გამაგრილებელი რამ შემოგთავაზო? — შეეკითხა ბოლოს მასპინძელი.

— ოო, დიდად მასიამოვნებთ! — უპასუხა სტუმარმა.

— ახლავე ფანჯარას გავაღებ, — წამოხტა მასპინძელი.

* * *

მკითხავმა ერთ ქალს ბანქო გაუშალა და უთხრა: ორმოცი წლის ასაკამდე ასე ღარიბი დარჩებითო.

— შემდეგ? — ჰკითხა გულისკანკალით ქალმა.

— შემდეგ შეეჩვევით მდგომარეობას, — დაამშვიდა მკითხავმა.

* * *

ხიდედრის დასაფლავებიდან შინ დაბრუნებულ ფრიცს სახლის კართან თავზე აგური დაეცა და დაფეთებულმა წამოიყვირა: — მისი სული ახლა მაღლიდან მიტევსო.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა.

## ჩვენი ლექსიკონი

**ა**

**ავიატორი, აგრონომი, ადვოკატი, აკადემიკოსი**—არიან მამაკაცებიც.

**ახალგაზრდობა**—ბედნიერი პერიოდი, როცა არ არის საჭირო წლების დაფარვა.

**დ**

**დასვენების დღე** — დიასახლისის ოცნება.

**დაფნის გვირგვინი** — მსოფლიო რეკორდსმენის ინგა არტამანოვას საყვარელი სამკაული, წლიდან წლამდე რომ იკეთებს იგი.

**ე**

**ევა**—ლეგენდარული ქალი. თუ თქმულებას დავუჯერებთ, იოლად გადიოდა ნეილონის გარეშე.

**ექსკურსიის მძღოლი**—ცოლი, რომელიც აჩვენებს ქმარს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს: სკოლას, სადაც სწავლობს მათი შვილი, თეატრს, სადაც ქმარი უნდა პატიჟებდეს ცოლს, მაღაზიას, სადაც ქმარს შეუძლია იყიდოს პროდუქტები ისეთივე წარმატებით, როგორც ცოლს.

**ს**

**სარკე**—სამსახურში დაგვიანების საპატიო მიზეზი.

**საპარიკმახერო**— ადგილი, სადაც მრავალი ქალი შედის სხვადასხვანაირი და გამოდის ერთნაირი.

**სუსტი არსება**—ქალები, მაგალითად, ვეფხვების მომთვინიერებელი მარგარიტა ნაზაროვა, ლომების მომთვინიერებელი ირინა ბუგრიმოვა...

**ყ**

**ყვავილები**—ყურადღების ნიშანი.

**ძ**

**ძიძაობა** — ლოგინის გაშლა ოცი წლის შვილიკოსათვის.

**ჯ**

**ჯაგრისი**—პირგაუპარსავი ქმარი.

**გ. ლომინაძე**

გარეკანზე — საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მ ე გ ო ბ რ ო ბ ი ს შ ა დ რ ე ვ ა ნ ი. ფოტო ი. ხალიპის.

გარეკანის მესამე გვერდზე—სპორტის დამსახურებული ოსტატი ე ლ ე ნ ე გ ო კ ი ე ლ ი. ფოტო გ. ვახტანგაძის.

გარეკანი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 740, უე 03621.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический иллюстрированный журнал „Сабчота Кали“, Издательство ЦК КП Грузии.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ 57/86
ნ 35/158
ეროვნული ბიბლიოთეკა

